# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 6 ნოემბერი 2003 №211 (1982) ფასი 50 თეთრი




# ელბერმა ბაიერნს თავისი გაუკეთა







# ხორვატიული შალახო მონაკოში

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელ მატჩში დეპორტივომ იმდენი გოლი გაუშვა, რამდენიც მთელ ესპანეთის ჩემპიონატში

**8**

აქედან ოთხი სწორედ გუშინ 29 წლის მოყრილმა ხორვატმა დადო პრსომ შეაგდო






მონაკოს მთავრებმა ალბერმა და რენიემ დადო პრსოსთვის ტაშ-ტაში არ დაინანეს

# ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

## ჯგუფური ეტაპი. IV ტური. წუხელ

### A ჯგუფი

#### ბაიერნი 1:2 ლიონი

0:1 ჟუნინიო (6), 1:1 მაკაი (14), 1:2 ელბერი (53)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (შოლი 72), კუფური, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, დემიკელისი (იერემისი 72), ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიზარო (სანტა კრუზი 67)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ლიონი: კუპე, რევეილიერი, ედმილსონი, მიულერი, ბერტოდი, ესიენი (გოვუ 76), დიარა, მალუდა, ჟუნინიო (კარიერი 90), ელბერი (კახამა 78), ლუინდულა
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
გაფრთხილება: რევეილიერი, ჟუნინიო, სანიოლი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, კოვაჩი, ლიზარაზუ, ბალაკი
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
59 000 მაყურებელი

#### სელტიკი 3:1 ანდერლეხტი

1:0 ლარსონი (12), 2:0 მილერი (17), 3:0 სატონი (29), 3:1 დინდანე (77)
*მორნარმა ვერ გაიტანა პენალტი (77, მეკარე)*
სელტიკი: ჰედმანი, მაკნამარა, ბალდე, ვარგა, აგატი, მილერი (გრეი 76), ლენონი, პეტროვი, სატონი, ლარსონი, ჰართსონი (მელოუნი 83; სილა 90)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ანდერლეხტი: ზიტკა, დეშახტი, ძეველაკოვი, ტიჰინენი, კომპანი, ბასეჯიო, ჰენდრიქსი (კოლარი 63), ჰასი, ვილჰელმსონი, დინდანე, მორნარი
მწვრთნელი: უგო ბროოსი
გაფრთხილება: სატონი, დინდანე, ჰართსონი, ძეველაკოვი, ვილჰელმსონი, ვარგა
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
59 057 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| ბაიერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |

### B ჯგუფი

#### არსენალი 1:0 დინამო

1:0 კოული (88)
არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი (ვილტორდი 69), პარლოუ (კანუ 76), ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (ედუ 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
დინამო: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, პეევი, ლეკო, ონიშჩენკო (საბლიჩი 21), ბელკევიჩი, გიოანე, გუსევი (რინკონი 60), შაცკიხი (ნანი 71)
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
გაფრთხილება: ჟილბერტო სილვა, ლეკო, ტურე
მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)
34 419 მაყურებელი

#### ინტერი 1:1 ლოკომოტივი

1:0 რეკობა (14), 1:1 ლოსკოვი (54)
ინტერი: ტოლდო, ადანი, მატერაცი, კანავარო, ჰელვეგი, ხ.ძანეტი, ალმეიდა, კ. ძანეტი (ლამუში 68), კილი გონსალესი (კარაგუნისი 90), ვიერი, რეკობა (კრუზი 76)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, ხოხლოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ლეჩეტო, იზმაილოვი (ნოვგოროდოვი 90), აშვეთია (ბუზნიკინი 76)
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: კილი გონსალესი, მატერაცი, ლოსკოვი
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| არსენალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |

### C ჯგუფი

#### მონაკო 8:3 დეპორტივო

1:0 როტენი (2), 2:0 ჟიული (11), 3:0, 4:0 პრსო (25, 29), 4:1 ტრისტანი (39), 4:2 სკალონი (44), 5:2 პრსო (45), 6:2 პლასილი (47), 7:2 პრსო (49), 7:3 ტრისტანი (52), 8:3 სისე (67)
მონაკო: რომა, გივე, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა (იბარა 83), ბერნარდი, როტენი, პლასილი (ზიკოსი 66), ე. სისე, ჟიული, პრსო (ადებაიორი 76)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
დეპორტივო: მოლინა (მუნუა 46), მანუელ პაბლო (მუნიტისი 46), ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, რომერო, მაურო სილვა, სერხიო (პანდიანი 60), სკალონი, ვალერონი, ამავისკა, ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: სკალონი, ტრისტანი, პანდიანი, ევრა, ზიკოსი, ამავისკა
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
10 000 მაყურებელი

#### პსვ ეინდჰოვენი 2:0 აეკ

1:0 ბუმა (51), 2:0 რობენი (63)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, კოლინი, ჰოფლანდი, ბუმა, ი. ლი, პარკი, ოიერი, ლუსიუსი, რობენი, კეჟმანი, ჟ. დე იონგი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
აეკ: მიხალიდისი, გეორგიასი, მორასი, კოსტენოღლუ, კაპსისი, ლაკისი (ს. კონსტანტინიდისი 69), ზაგორაკისი, კაცურანისი, რუსევი (ცარტასი 32), ოკასი (ივიჩი 78), ნ. ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
გაფრთხილება: რობენი, ცარტასი, ჰოფლანდი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
28 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 4 | 3 | 0 | 1 | 14:5 | 9 |
| დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:9 | 7 |
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| აეკ | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |

### D ჯგუფი

#### ოლიმპიაკოსი 3:0 გალათასარაი

1:0 მავროგენიდისი (6), 2:0 კასტილიო (34), 3:0 ჯოვანი (90)
ოლიმპიაკოსი: კატერინაკისი, ვენეტიდისი, ანცასი, ანატოლაკისი, გეორგიადისი (ნინიადისი 89), კარამბუ, სტოლტიდისი, პ. ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი (კოსტულასი 90), ჯოვანი, კასტილიო (კაფესი 65)
მწვრთნელი: ოლეგ პროტასოვი
გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენტი, ფ. დე ბური, პრატესი (საბრი 81), ორჰანი, აიჰანი, ერგუნი (ლუკუნკუ 66), ჯიჰანი (ბალიჩი 40), პეტრე, ჰაქან შუქური, ჰასან შაში
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
გაფრთხილება: ვენეტიდისი, ჰასან შაში, ბიულენთი, ჯორჯევიჩი, სტოლტიდისი, ჯორჯევიჩი, მონდრაგონი
გაძევება: აიჰანი (88), ჯორჯევიჩი (90)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
14 000 მაყურებელი

#### სოსიედადი 0:0 იუვენტუსი

სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, ხაურეგი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ალკისა, კარპინი, დე პედრო (ბ. ლი 75), კოვაჩევიჩი, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, პესოტო (აპია 69), ტუდორი, დავიდსი, კონტე (ტაკინარდი 82), ნედვედი, დი ვაიო (ზალაიეტა 76), მიკოლი
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ფერარა, შურერი, კონტე, ტუდორი, დავიდსი
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
31 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:4 | 3 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |

## ინგლისი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

ძოვენთრი 0:0 ბრედფორდი

## შოტლანდია

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

კლაიდი 1:0 ინვერნესი

## სლოვენია

CB მობილ ლიგა. XV ტური

აიდოვშჩინა 0:0 მარიბორი
პტუი 0:3 პუბლიკუმი
შმარტნო 2:3 დომჟალე
კოპერი 3:0 დრავოგრადი
ლიუბლიანა 1:1 ნოვა გორიცა
ოლიმპია 2:1 მურა

## რუსეთი

თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩები

*ურალანი* 1:0დ.დ.(0:0) ლადა (0:0)
*კრილია* 2:1 გაზოვიკ-გაზპრომი (4:0)
*სპარტაკ-ალანია* 3:1 მეტალურგი (ლ) (2:1)
ჩერნომორეცი 1:1 *ტერეკი* (0:2)
*ტორპედო-მეტალურგი* 2:0 ამკარი (2:3)
ვოლგარ-გაზპრომი 1:2 *დინამო (მ)* (1:5)
*სატურნი* 6:0 ზვეზდა (0:0)
*როტორი* 2:0 ანჟი (1:3)
*რუბინი* 2:1 დინამო (ს-პ) (4:0)
*შინიკი* 3:4 არსენალი (2:0)
*ცსკა* 3:1 ელეცი (0:1)
*ზენიტი* 6:2 კამაზი (2:0)

# აშვეთიას ნერვები და კუნთი დაეჭიმა

*მოსკოვის „ლოკომოტივმა" ძალიან დაჩაგრა მილანის „ინტერი" – ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ოთხი ქულა აართვა. გუშინდელი 1:1 ტურის ერთ-ერთი უმთავრესი სენსაცია იყო. მიხეილ აშვეთიას „ლოკომოტივს" იღბალი რომ ჰქონოდა, საერთოდ მოგებითაც შეეძლო თავისი გულშემატკივრის გახარება.*

*მიხეილ აშვეთიას ნამატჩევს მილანში შევეხმიანეთ:*



— კარგი თამაში გამოვიდა. „ინტერს" არაფერი დავუთმეთ და ქულაც დამსახურებულად ავართვით. ძალიან გახარებულები ვართ. ასეთ შედეგს ჩვენგან, ალბათ, ბევრი არ ელოდა.

**— რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გქონდა...**

— ჰო, გოლის გატანა შემეძლო, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. არაუშავს, მთავარია, გუნდმა წარმატებას მიაღწია.

**— შეცვლა თავად მოითხოვე?**

— ტრავმა მივიღე და სხვა გზა არ მქონდა. თამაშის გაგრძელება აღარ შემეძლო.

**— სერიოზული ტრავმაა?**

— კუნთი მაქვს დაჭიმული. ალბათ, ათიოდ დღით დასვენება მომიწევს. უფრო ზუსტად მოსკოვში ჩასვლის და გამოკვლევის შემდეგ მეცოდინება.

**— „ინტერის" გოლის შემდეგ ძნელი წარმოსადგენი იყო „ლოკომოტივი" მატჩის გარდატეხას თუ შეძლებდა...**

— დასაკარგი არაფერი გვქონდა. ანგარიში უნდა გაგვეთანაბრებინა და შეტევაში წავედით. უნდა გაგვეტანა და გავიტანეთ კიდეც. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „ლოკომოტივი" კარგ ფორმაშია.

**— შედეგს ლოგიკურად მიიჩნევ?**

— ვფიქრობ, მოგება „ინტერსაც" შეეძლო და „ლოკომოტივსაც". მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა. ალბათ, ფრე სამართლიანი შედეგია, თუმცა, რომ მოგვეგო, ცხადია, უფრო გავიხარებდით. იური სიომინი კი ახლაც კმაყოფილი დარჩა და მადლობაც გადაგვიხადა.

**— ახლა ჯგუფიდან გასვლა უფრო რეალური ჩანს...**

— ასეც არის. შანსს ბოლომდე ჩავეჭიდებით. დარჩენილ მატჩებშიც წარმატებით თუ ვითამაშეთ, რომელიღაც ბოლოლას ჯგუფში ჩავტოვებთ.

**ქახა ზალამბერიძე**

# მონაკოშია ქეიფი დიდი-ე!

*წუხელ მონაკომ მეფურად მოილხინა. „ლუი II"-ის სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაემხო, რომელიც აქამდე პსჟ — „რუსენბორგის" მატჩს (7:2) ეკუთვნოდა და პარიზში 2000 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა.*

*1964-ში, მაშინდელ ჩემპიონთა თასის პირველ ეტაპზე, სოფიის „ლოკომოტივს" შვედური „მალმიო" ზუსტად ასეთივე ანგარიშით დაუმარცხებია, „მონაკომ" „დეპორტივოს" ლა კორუნიაში რომ გაატანა — 8:3.*

*29 წლის შემდეგ შედეგი განმეორდა და ამ საქმეში მონაკოელთა ხორვატი ფორვარდის, დადო პრსოს ოთხი გოლი ურევია, რომელიც გუშინ დაბადებიდან 29-ისა მოიყარა.*

*„პოკერით" პრსო ჩემპიონთა ლიგის „ოთხიანებს" შეუერთდა. აქამდე ერთ მატჩში ოთხი გოლი მარკო ვან ბასტენს და სიმონე ინძაგის გაუტანიათ.*

*წუხელ ღამით, როცა ლა კორუნიაში „დეპორტივოს" ქომაგებს საშინელი სიზმრები სტანჯავდათ (ძირითადად ხავიერ ირურეტასა და ხორვატი ფორვადის მონაწილეობით), ლაჟვარდოვანი სანაპიროს რომელიმე რესტორანში, პრსო 29 ანთებულ სანთელს უბერავდა, დიდიე დეშანი კი გუნდთან ერთად ჩაციებულ შამპანურს „აფეთქებდა".*

*ტრავმის გამო ფერნანდო მორიენტესმა ვერ ითამაშა, რომელსაც მადრიდიდან რაული ესტუმრა და მათ ტრიბუნაზე მოკალათებულებმა იჭუკჭუკეს. მორიენტესს პრსოს დაბადების დღეზე ერთი კაცის მიყვანის უფლებას კი მისცემდნენ და ალბათ „ჩანგალზე" მისვლას რაულიც არ იუარებდა.*

*„ლიონმა" მიუნხენში „ბაიერნი" ბრაზილიელების გოლებით ნააქცია. ჩია ჟუნინიოს შესრულებული საჯარიმო იშვიათი სილამაზისა გამოდგა. დაახლოებით 30 მეტრიდან გაფრენილი ბურთი ისე აიჭრა ჰაერში, კანს ეგონა „ოლიმპიაშტადიონს" გადააფრინდებაო, მაგრამ მისი კარის ცხრიანში კი აღმოჩნდა.*

*მასპინძლებმა შესვენებამდე მაკაის წყალობით გაათანაბრეს, თუმც მეორე ტაიმში ჯოვანი ელბერმა ბეკენბაუერს სამი კვირის წინანდელი დანაპირები აუსრულა და რაც ლიონში ვერ შეძლო, მისთვის კარგად ნაცნობ მოედანზე მოახერხა.*

*„ლოკომოტივმა" „ინტერი" მილანშიც გააწბილა. ალვარო რეკობას გოლს ლოსკოვმა უპასუხა და გუნდს მერვედფინალში გასვლის შანსი შეუნარჩუნა.*

*გაჭირვებულმა „არსენალმა" ძლივს გაიხარა. „დინამომ" ისევე ყოჩაღად ითამაშა „ჰაიბერიზე", როგორც კიევში. უკრაინელები „მეთოფეებს" ჭკვიანურად უმკლავდებოდნენ და მათი ფორვარდებიც „ამოკეტეს". ტიერი ანრიმ ვერ გაიტანა, მაგრამ შეხვედრის მიწურულს ეშლი კოულს გაატანინა და „არსენალი" მერვედფინალისთვის ბრძოლას განაგრძობს.*

*გლაზგოში ჯონ ჰართსონის ზეიმი შედგა. სამივე გოლი „ანდერლეხტის" კარში მისი უშუალო მონაწილეობით გავიდა.*

*პირეოსის „ოლიმპიაკოსმა" სრულიად ბერძენთა ჭია გაახარა და „გალათასარაი" „იმპერატორ" თერიმიანად სტამბოლში შერცხვენილი გაუშვა. მასპინძლებმა „გალა" ისე დაახურდავეს, რომ თურქებს არასოდეს დაავიწყდებათ.*

*მერვედფინალში გუშინწინ გასულ მადრიდის „რეალს" ტურინის „იუვენტუსი" შეუერთდა.*



REUTERS

რაული და ფერნანდო მორიენტესი: ესპანეთისა და მონაკოს მეფეთა ვეზირები

*ვაჟა ხუციშვილი*

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

E ჯგუფი

## ნისტელროიმ კლოსისთვის მოიცალა



მანჩესტერი — რეინჯერსი. რუუდ ვან ნისტელროიმ შტეფან კლოსს დუბლი შეუსრულა

**მანჩესტერი 3:0 რეინჯერსი**

1:0 ფორლანი (6), 2:0, 3:0 ვან ნისტელროოი (43, 60)

**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ფორჩუნი, კინი, გიგზი (ბელიონი 68), ვან ნისტელროოი (ფლეტჩერი 76), ფორლანი (კლებერსონი 68), კ. რონალდო

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**რეინჯერსი:** კლოსი, ხიზანიშვილი, ბერგი, მური (როსი 68), ბოლი, ვანოლი (ბარკი 83), ს. ჰიუზი, არტეტა, ლოვენკრანდსი, არველაძე, მოლსი (ნუნუ კაპუშუ 57)

**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში

**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

66 707 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 1:3 შტუტგარტი**

1:0 კონსტანტინუ (59), 1:1 ფისასი (67ს.კ.), 1:2 კურანი (75), 1:3 ჰინკელი (77)

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, გუმასი, ფისასი, ბასინასი, ჟუტაუტასი, მიკაელსენი (სანმარტიანი 72), მარიჩი (კონსტანტინიდისი 79), პაპადოპულოსი, კონსტანტინუ

**მწვრთნელი:** იცხაკ შუმი

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, ვრანიეში (გლები 46), სოლდო, ტიფერტი, ამანატიდისი (ჰელდტი 46), კურანი, საბიჩი

**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი

**გაფრთხილება:** მიკაელსენი, ტიფერტი, კონსტანტინუ, ფისასი

**მსაჯი:** მასიმო დე სანტისი (იტალია)

6 100 მაყურებელი

მოსალოდნელი ინგლისურ-შოტლანდიური დიდი ომი არ შედგა. „მანჩესტერმა" ორი მატჩის ჯამში პირწმინდად დაჩაგრა სქოთური „რეინჯერსი". მანჩესტერული მატჩის წინ ალექს ფერგიუსონი ამბობდა, თანამემამულე გუნდისადმი დიდ სიმპათიებს ვგრძნობ, მაგრამ ფეხბურთს თავისი წესები აქვს, რომლებსაც არ დავარღვევთ, „მანჩესტერი" შთამბეჭდავი მოგებისთვის იბრძოლებსო. თქვა კაცმა და შეასრულა — მატჩის მსვლელობისას ინგლისელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და წუთითაც არ გაუხდიათ საეჭვოდ გამარჯვებულის ვინაობა.

თამაში ურუგვაელი დიეგო ფორლანის ბრწყინვალე გოლით დაიწყო — გიგზმა მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოსკენ გააქროლა ბურთი, კრეიგ მურმა ხელი ვერ შეუშალა ფორლანს, მანაც მახვილი კუთხიდან ძირს დაუშვებლად ამოსცხო ბურთს და კლოსს შორეულ კუთხეში გაუტანა.

საპირველტაიმო ერთადერთი შანსი „ჩაფრებს" მე-17 წუთზე ჰქონდათ, მაგრამ მაიკლ ბოლის პასისას მიხაელ მოლსმა პროფესიონალიზმი... ბა მოინდომა მეტოქის საჯარიმოში და საგოლე დარტყმა აღარ აცალეს მცველებმა.

ტაიმის დამთავრებას ბევრიც არ უკლდა, რუუდ ვან ნისტელროიმ ათსაათიანი მშრალი სერია რომ შეწყვიტა — ჰოლანდიელმა ხარიხიდან ასხლეტილ ბურთს სწორი გაგრძელება მოუძებნა — 2:0 და „რეინჯერსის" იმედიც, ფაქტობრივად, აქ მოკვდა.

მეორე ტაიმიც მასპინძლებისა იყო. მანჩესტერელებმა არაერთი შანსიდან მხოლოდ ნისტელროის გოლი იკმარეს. ჰოლანდიელმა სწორი პოზიცია შეარჩია გიგზის 18-მეტრიანი ჯარიმისას და შეცდომა დააშვებინა კლოსს.

გოლიდან ცოტა ხანში ვან ნისტელროის ჰეთ თრიქიც უნდა შეესრულებინა, თუმცა რონალდოს პასისას კლოსს ვერაფერი მოუხერხა, მერე კი ზურაბ ხიზანიშვილის ჯერიც დადგა. ქართველი მცველი თავგანწირულად ჩაერთო შეტევაში და მზაკვრულად დაურტყა ჰოვარდს, თუმც მეკარეს გაუმართლა — შემთხვევით მოხვედრილი ბურთი პირით ხაზს გადასცდა.

მოკლედ, „მანჩესტერი" ცალი ფეხით მერვედფინალშია, „რეინჯერსის" იმედი კი შტუტგარტშია. სქოთებს ჯგუფიდან გასაღწევად უეჭველად დასამარცხებელი ჰყავთ გერმანელები, რაც ერთობ რთული საქმეა, რაკიღა ფელიქს მაგათის გუნდი ბოლო დროს ნამდვილი ლიდერივით თამაშობს — შინ თუ გარეთ ყველას უსწორდება და აგერ, სამშაბათს შინაურ კედლებში ძლიერად თამაშით განთქმული ბერძნული „პანათინაიკოსიც" არ დაინდო. გერმანელები გერმანულად გაისარჯნენ — აგებდნენ და მაინც სათავისოდ შეატრიალეს მატჩი.

**პაატა ქვანტალიანი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:2 | 9 |
| რეინჯერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| პანათინაიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

F ჯგუფი

## პადრე კასილიასი და დიაკვანი პანტიჩი



პარტიზანი — რეალი. ნენად ჯორჯევიჩის და დევიდ ბექემის გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ

**პარტიზანი 0:0 რეალი**

**პარტიზანი:** პანტიჩი, სავიჩი, ნ. ჯორჯევიჩი, მალბასა (რჟასა 19), ვესტი, დულიაი, ბაიჩი, ნადი (დრულოვიჩი 66), ილიჩი, დელიბაშიჩი (სტოიანოსკი 46), ილიევი

**მწვრთნელი:** ლოთარ მათეუსი

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, პავონი, რობერტო კარლოსი (გუტი 10), ფიგუ, ბექემი, ელგერა, ზიდანი, რაული, რონალდო

**მწვრთნელი:** კარლუშ კეიროში

**გაფრთხილება:** რჟასა

**მსაჯი:** კოსიმო ბოლონინო (იტალია)

32 000 მაყურებელი

მადრიდელებმა ბელგრადში ფრე გაახერხეს, რითაც მერვედფინალში გასვლა პირველებმა გაინაღდეს.

გინდ მასპინძლებს, გინდ სტუმრებს რომ გაემარჯვათ, გასაკვირი არ იქნებოდა, ხეირიანი მომენტები ორივეს ჰქონდა, თუმცა ორი საუკეთესო მომენტი მაინც სერბებმა შექმნეს, რომლებიც პირველ ნახევარ საათში უპირატესობასაც ფლობდნენ. მომენტთა სიმრავლის მიზეზი კი ორივე გუნდის მცველთა ბლომად დაშვებული შეცდომები გახდა, მაგრამ მცველთა ცოდვებს მეკარეები ასწორებდნენ. განსაკუთრებით მასპინძელთა გოლკიპერი ჯორჯე პანტიჩი იმსახურებს ქებას, რაკი ის „პარტიზანის" სათადარიგო მეკარეა და კარში ივიცა კრალის ტრავმის გამო იდგა.

„რეალმა" თამაში აქტიურად დაიწყო და რობერტო კარლოსმა ორჯერ გონივრულად ჩააგდო ბურთი სერბთა საჯარიმოში ჯერ რონალდოს, მერე კი ზიდანის მისამართით. მაგრამ რობერტო კარლოსი მე-10 წუთზე დაშავდა, მუხლი იტკინა და შესაცვლელი შეიქნა. მის ადგილზე რაულ ბრავომ გადაინაცვლა, ხოლო ახალშესული გუტი ნახევარდაცვაში გამაგრდა.

რობერტო კარლოსის დამტვრევამ „პარტიზანზე" სასიკეთოდ იმოქმედა და იქით შეუტია, ბელგრადელები განსაკუთრებით კარგად ფლანგებს იყენებდნენ.

ნახევარი საათის მერე მადრიდელები გონს მოვიდნენ და ოთხ ეპიზოდში გოლის გატანაც მართებდათ: რონალდომ და რაულმა მეკარეს გაარტყეს, ფიგუმ და ბექემმა კი ააცილეს.

პირველი ტაიმის მიწურულს კი „პარტიზანმა" ისეთი მომენტი გააფუჭა, უკეთესს ვერ ინატრებდა. ილიევის ჩაწოდების მერე ანდრია დელიბაშიჩმა ბურთს ფეხი წაჰკრა და კასილიასმა რაღაც სასწაული რეაქცია გამოავლინა. ამ ეპიზოდში მთავარი ის არის, რომ დელიბაშიჩი სამი მეტრიდან ურტყამდა.

ამის მერე დელიბაშიჩი ბურთს აღარ მიჰკარებია — ივან ელგერასთან შეტაკებისას დაშავდა და თამაში მიატოვა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც უხვმომენტიანი გამოდგა. ფიგუმ ორი კარგი მომენტი გააფუჭა, მეკარემ ივარგა. საპირისპირო კართან კი კასილიასი ვაჟკაცურად დაუხვდა სტოიანოვსკის და ილიევს. ამას ზიდანის დარტყმა მოჰყვა. კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტის მერე, 84-ე წუთზე, საშა ილიჩმა სულ რამდენიმე მეტრიდ... ააცილა. მანვე წამატებულ დროში ერთი შანსიც გააცუდა და მატჩი ფრედ დასრულდა.

**პორტუ 1:0 მარსელი**

1:0 ალენიჩევი (21)

**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე (რიკარდუ კოშტა 60), მანიშე, კოშტინია, ალენიჩევი, ბოსინგვა (პ. მენდეში 84), მაკკარტი (მ. ფერეირა 63), დერლეი სილვა

**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**მარსელი:** რუნიე, მეიტე, ვან ბუიტენი, კრისტენვალი, ეკერი, პერესი (მიდო 50), ჰემდანი, მერიემი, ვახოუშეკი (იოჰანსენი 79), დროგბა, მარლე (სიჩოვი 80)

**მწვრთნელი:** ალენ პერენი

**გაფრთხილება:** მეიტე, ბოსინგვა, ჟორჟე კოშტა, მარლე

**მსაჯი:** გრემ პოლი (ინგლისი)

33 215 მაყურებელი

„პორტუმ" ერთბურთიანი უპირატესობით სძლია ფრანგებს და დიდი შანსია, სწორედ ის გახდეს ჯგუფიდან გასული მეორე გუნდი.

ამ მატჩში არ უთამაშია პორტუგალიელთა ნაღდ ლიდერს, დისკვალიფირებულ დეკოს, მაგრამ ჟოზე მაურინიუს გაწვრთნილები მაინც დიდი უპირატესობას ფლობდნენ. მარსელელები პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, ვერც გადავიდნენ მასპინძელთა ნახევარზე.

მაურინიუმ იგივე ტაქტიკა აირჩია, რითაც მისმა გუნდმა „ველოდრომზე" მოიგო, ანუ ოთხ ფრანგ მცველს სამი ფორვარდი — დერლეი, მაკკარტი და ბოსინგვა დაუპირისპირა, მათ უკან კი კოშტინია გაამწესა. მალე გოლიც გავიდა.

საგოლე კომბინაცია კოშტინიამ წამოიწყო. მან დმიტრი ალენიჩევს უპასა, რომელმაც დერლეისთან კედელი გაითამაშა და მეტად მახვილი კუთხიდან ბურთი მეკარე ვედრან რუნიეს გადაავლო. ბენი მაკკარტიმ კარში შესულ ბურთს თავი მაინც მოარტყა.

ფრანგები, რა თქმა უნდა, გასათანაბრებლად მოიმართნენ, მაგრამ პორტუელთა მეკარე ვიტორ ბაია ყოჩაღად იცავდა კარს. ბაიამ სებასტიან პერესს და სტივ მარლეს გატანა არ დაანება, თუმცა ისიც სათქმელია, რომ სტუმრები მას ხშირად არც აწუხებდნენ.

შესვენების მერე ორივე კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. სტუმრებს კი თუნდაც ერთი ქულის გადარჩენის უნაღდესი შანსი ბოლო წუთებზე მიეცათ, როცა დროგბამ საჯარიმო დარტყმით ხარიხა შეაზანზარა.

**კოტე ქექელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| პორტუ | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| მარსელი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | 3 |
| პარტიზანი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

G ჯგუფი

## არისტოკრატების რომაული სამოთხე

### რონალდო სტამბოლშიც რონალდოა



REUTERS

ლაციო — ჩელსი. ეიდურ გუდიონსენმა რომაელთა რბევაში თავისი წილი დაიდო

**ლაციო 0:4 ჩელსი**

0:1 კრესპო (15), 0:2 გუდიონსენი (70), 0:3 დაფი (75), 0:4 ლამპარდი (80)
**ლაციო:** სერენი, ძაური, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე (ნეგრო 59), ალბერტინი (მუცი 70), ლივერანი, სტანკოვიჩი, კორადი, ს. ინძაგი (კ. ლოპესი 70)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**ჩელსი:** კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ლამპარდი, მაკელელე, დაფი, ვერონი (ჯ. კოული 75), კრესპო (გუდიონსენი 65), მუტუ (გრონკიაერი 57)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: მუტუ, კუდიჩინი, მიხაილოვიჩი, მიხაილოვიჩი, ლივერანი, ჯონსონი, ჯონსონი
გაძევება: მიხაილოვიჩი (53), ჯონსონი (90)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
48 500 მაყურებელი

„ლაციოს" უბედურება კარიდან დაიწყო. ანჯელო პერუცციმ ტრავმის გამო ადგილი მატეო სერენის დაუთმო, მაგრამ ბურთის ხელში დაჭერა ვერ ასწავლა.

სერენი ბურთებს ცხვირწინ იგერიებდა და ამის გამო სამჯერ დაისაჯა. ამჟამინდელ „ჩელსიში" მოთამაშე ბიჭები ჯამაგირს იმისთვის იღებენ, რომ მეტოქეს მსგავსი შეცდომები არ აპატიონ ერნან კრესპომ, დემიენ დაფმა, ეიდურ გუდიონსენმა და ფრენკ ლამპარდმა პერუცის შემცვლელს კარში დგომის ხალისი წაუხდინეს.

„არისტოკრატებმა" საკადრისად მხოლოდ პირველი ტაიმის მცირე მონაკვეთი ჩაატარეს, დანარჩენი კი „ლაციოსი" იყო.

მასპინძელთაგან სხვებზე მეტად დეიან სტანკოვიჩი ცდილობდა და კარლო კუდიჩინის თავი აშკარად დაამძიმა.

სიმონე ინძაგის ხერხი უკვე საყოველთაოდ ცნობილია — როგორმე ბურთიანად საჯარიმოში შეიპაროს, მერე კი მცველების ფეხებს ეძებს, ყირაობს და დაცემამდე მსაჯისკენ იყურება.

რუსი არბიტრი ვალენტინ ივანოვი რიგ ეპიზოდებში ეგებ კიდეც ცდებოდა, მაგრამ ძირითადად „ჩელსის" სასარგებლოდ.

შესვენებამდე რომაელები უტევდნენ, მაგრამ სიმონე ინძაგისა და ბერნარდო კორადის მცველები იოლად უმკლავდებოდნენ. „ლაციოს" შუახაზელთა შორეული დარტყმები კუდიჩინის ნადავლი ხდებოდა.

ტაიმის ერთადერთი გოლი სერენის შეცდომას მოჰყვა. მისი მოგერიებული ბურთი ერნან კრესპოს მხარზე მოხვდა და კარში შევარდა.

მეორე ნახევარში რობერტო მანჩინიმ შეტევის გაძლიერება გადაწყვიტა და კლაუდიო ლოპესი გაამზადა. ამ დროს სინიშა მიხაილოვიჩმა მიჯრით ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და გააძევეს (მიხაილოვიჩის „ვაჟკაცობაზე" ცალკე მოგახსენებთ). მანჩინის გეგმები აერია, თუმც კაცნაკლულმა „ლაციომ" უფრო გაშმაგებით, დაღლამდე შეუტია და კუდიჩინი ხტუნაობაში გააოფლიანა.

შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე მასპინძლები დაიქანცნენ და მათ საჯარიმოში ლონდონელმა ტურისტებივით სეირნობა დაიწყეს. ათწუთიან „გასეირნებას" სამი გოლი მოჰყვა და რომაელები დანებდნენ.

რობერტო მანჩინიმ ნამატჩევს აღიარა, ტაქტიკურ ამბავში ჩავიჭერიო.

**ბეშიქთაში 1:0 სპარტა**

1:0 გიარო (82)
**ბეშიქთაში:** ო. კორდობა, აჰმეთ ილდირიმი, ძაგო, გიარო, ტაიფური, ჟუნტი, იბრაჰიმი (ტუმერი 72), პანჩუ, დობრა (აჰმედ ჰასანი 62), სერგენი (აჰმეთ დურსუნი 90), ილჰან მანსიზი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
**სპარტა:** ბლაჟეკი, ლაბანტი, იოჰანა, ჰუბშმანი, ჰერგლი, ზელენკა, პობორსკი, კრმაში (გლუშკევიჩი 84), რადოსლავ კოვაჩი, კინცლი (მიხალიკი 77), სიონკო (იუნი 60)
მწვრთნელი: ირჟი კოტრბა
გაფრთხილება: იოჰანა, გიარო, ჟუნტი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
18 000 მაყურებელი

„ბეშიქთაშის" საქმე ასეა: სერგენ იალჩინი თუ კარგ ფორმაშია, მატჩის გადამწყვეტ მომენტში შეუძლია საგოლე პასი გაჩარხოს.

სერგენმა „სპარტასთანაც" უხვად პასები არიგა, მაგრამ დისკვალიფიკაციამოხდილმა ილჰან მანსიზმა მისი შრომა ქარს გაატანა. სამაგიეროდ, ბრაზილიელმა რონალდო გიარომ დაუფასა და თითქმის კარის ხაზზე მდგომმა პრალელებს მატჩის დასრულებამდე რვა წუთით ადრე თვით გაუტანა.

ამ დროისთვის მირჩა ლუჩესკუს შეტევის გასაძლიერებლად უკვე ორი ფეხბურთელი ჰყავდა შეცვლილი. რუმინელი მწვრთნელი მოედნის კიდესთან გოლის მოლოდინში აფორიაქებული დადიოდა და ბრაზილიელის თავურმა უსაზღვროდ გაახარა.

„ბეშიქთაშის" რონალდო მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდა და შეტევების უმეტესობა სიღრმიდან სწორედ მისით იწყებოდა.

მე-15 წუთზე მან დობრა ბლაჟეკთან პირისპირ გაიყვანა, დობრამ კი ჩეხ მეკარეს ხუთიოდ მეტრიდან ვერ აჯობა.

მოგვიანებით სერგენმა ილჰანი ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა, მაგრამ ფორვარდმა მომენტი გააცუდა.

ტაიმის შუაწელში მანსიზი იოჰანას დაუსხლტა და ბლაჟეკისკენ დაიძრა, თუმც მეურვემ წესის დარღვევით შეაჩერა.

თმაკიკინა მეგოლემ ერთხელ მაინც შეძლო ახლოდან კარში დარტყმა, ოღონდ ბურთს პეტრ იოჰანა გადაეღობა.

სტუმართა შორის გამორჩეულნი კარელ პობორსკი და ლუკაშ ზელენკა იყვნენ, მაგრამ მათ მწირი მომენტებით ოსკარ კორდობა მაინცდამაინც ვერ შეაწუხეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში ილჰანს ასპროცენტიანი საგოლე შანსი ჰქონდა, თუმც კარიდან სამ მეტრში მყოფმა იბრაჰიმ უზულმეზის პასი დაღუპა.

ჩეხები თავს საკმაოდ მოწესრიგებულად იცავდნენ და იღბალიც თითქოს პრაღელებისკენ იხრებოდა. მატჩი ფრისკენ მიექანებოდა, მაგრამ რონალდომ ქულების გაყოფა არ ისურვა და „სპარტა" ცხრილის ფსკერზე დაუშვა.

**გაჩა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ბეშიქთაში | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ლაციო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |

H ჯგუფი

## მილანი გაწყდა, გაწითლდა და მოკვდა

**ბრიუგე 0:1 მილანი**

0:1 კაკა (86)
**ბრიუგე:** ვერლინდენი, დე კოკი, ბ. მარტენსი, სიმონსი, როზენალი, ვან დერ ჰიდენი, ჩეპი (სტოიკა 62), გვოზდენოვიჩი, კლემანი (შატერნსი 77), ვერჰეინი, მენდოსა
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი (კოსტაკურტა 35), პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (ამბროზინი 87), შევჩენკო, ტომასონი (შიმიჩი 42)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ნესტა, როზენალი, ნესტა, პანკარო
გაძევება: ნესტა (38)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
29 250 მაყურებელი

ერთადერთი შანსი და ისიც გოლი — 86-ე წუთზე „მილანის" სწრაფი კონტრშეტევა ბრაზილიელებმა, კაფუმ და კაკამ წამოიწყეს, მთელი მარჯვენა ფლანგი ერთშეხებიანი პასებით გადასერეს, საჯარიმოში შევარდნილმა უკრაინელმა შევჩენკომ ერთბაშად ორი მცველი გაიყოლა და კაკასაც სივრცე დაუტოვა. კაფუმ ჩინებული პასი მიაწოდა ფლანგიდან თანამემამულეს, ყმაწვილმა პლეიმეიკერმაც ბურთს ტერფის შიდა ნაწილი ძლიერად და მოხდენილად ამოჰკრა და მეკარე ვერლინდენს ცხრიანიც აუფართხალდა.

არადა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ „ბრიუგეს" წასაგები თამაში ნამდვილად არ ჰქონდა. ჯერ ივან გვოზდენოვიჩის პასი ანდრეს მენდოსამ შეირგო და მძლავრი თავურით კარის ხარიხა შეაზანზარა, მერე კი შეცვლაზე შესულ ალინ სტოიკას უძლიერესად გასროლილ ბურთს მეკარე დიდამ აკრობატულ ნახტომში თითები ბოლოსღა წაარტყა და კუთხურზე გადააგდო.

ესეც რომ არა, მასპინძლები 38-ე წუთიდან მოყოლებული რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ — გერმანელმა მსაჯმა ჰერბერტ ფანდელმა უხეში თამაშისთვის ორჯერ გაყვითლებული ალესანდრო ნესტა გააწითლა.

ნესტა ნესტად და „შავ-წითელთა" დაცვის ცენტრალური დუეტი გაძევებამდე სამი წუთით ადრე ხუხულასავით დაიშალა. ლეგენდარულ კაპიტანს, პაოლო მალდინის ბარძაყის კუნთი გაუწყდა და შესაცვლელი შეიქნა. მალდინის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და „მილანის" რეკორდსმენი სულ ცოტა, ერთი თვე ვერ გაეკარება ბურთს.

ერთი სიტყვით, კაცნაკლულმა და პრობლემებმიძალებულმა „მილანმა" ორი კვირისწინანდელი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო და ახლა ჯგუფის ლიდერია.



ბრიუგე — მილანი. 86-ე წუთი და კაკას ჯადო-გოლი

**სელტა 3:2 აიაქსი**

1:0 ლუქსენი (25პ), 2:0 მილოშევიჩი (39), 2:1 სონკი (53), 3:1 ვაგნერი (63), 3:2 ვან დერ ვაარტი (82)
**სელტა:** პინტუ, სილვინიო, კასერესი, სერხიო, ანხელი, ხუანფრანი, ვაგნერი (კონტრერასი 86), ხესული (გუსტავო ლოპესი 83), მოსტოვოი (ოუბინია 90), ლუქსენი, მილოშევიჩი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
**აიაქსი:** ლობონტი, ნ. დე იონგი, ესკუდე, გრიგერა, მაქსველი, იაკუბუ (პეიტინგა 65), გალაშეკი (ვამბერტო 79), ვან დერ ვაარტი, მიტეა, იბრაჰიმოვიჩი (ლიტმანენი 70), სონკი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, ლუქსენი, ვან დერ ვაარტი, გალაშეკი, გრიგერა, ანხელი, მოსტოვოი, გრიგერა
გაძევება: გრიგერა (90)
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
25 000 მაყურებელი

აი, მატჩი, უხვგოლიანი, დაძაბული და საინტერესო. გალისიურმა კლუბმა ისტორიული და დამსახურებული გამარჯვება ამსტერდამის „აიაქსთან" მიითვალა. რონალდ კუმანის სამწყსოს, ფაქტობრივად, ძირითადის მთელი უკანა ხაზი აკლდა ტრავმების გამო და მათმა შემცვლელმა ოთხეულმაც, რომ იტყვიან, „ესტადიო ბალაიდოსზე" თამაში ჩააგდო, თუმც ეს ვიგოელთა წარმატებას სრულებითაც არ აკნინებს.

„სელტამ" პირველი ტაიმი ლუქსენის პენალტით და მილოშევიჩის თავურით 2:0 მოიგო, 53-ე წუთზე აიაქსელმა სონკმა ერთი კი გაქვითა და თითქოსდა იმედიც გაჩნდა, მაგრამ ვაგნერმა მალევე გადაასხა სტუმრებს ცივი წყალი.

82-ეზე ამსტერდამელთა ლიდერმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა შორეული დარტყმით კი დაამწუხრა პინტუ და კუმანმაც შეგირდები ბოლო შტურმისთვის დაგეშა, მაგრამ...

„ძალიან ბედნიერი ვარ, ისტორიული გამარჯვება ძლიერ და სახელიან მეტოქესთან მოვიპოვეთ. მადლობა ყველას, ბიჭებს და ქომაგებს" — „სელტას" მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა სიხარულს ვერ ფარავდა.

**გიორგი ვაშაკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| აიაქსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| სელტა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბრიუგე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |

## უეფას თასი 2003-2004. 1/32 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს

# ფაულერმა 120 ათასი გირვანქა დაწვა
## დალიე, მოწიე და მერე ვითამაშოთ

**სლავია** (ჩეხეთი) — **ლევსკი** (ბულგარეთი)
**დინამო** (ხორვატია) — **დნიპრო** (უკრაინა)
**გაზიანთეპი** (თურქეთი) — **ლანსი** (საფრანგეთი)
**შალკე** (გერმანია) — **ბრონდბიუ** (დანია)
**უტრეხტი** (ჰოლანდია) — **ოსერი** (საფრანგეთი)
**ვოლერენგა** (ნორვეგია) — **ვისლა** (პოლონეთი)
**ბორდო** (საფრანგეთი) — **ჰართსი** (შოტლანდია)
**სპარტაკი** (რუსეთი) — **დინამო** (რუმინეთი)
**პანიონიოსი** (საბერძნეთი) — **ბარსელონა** (ესპანეთი)
**გენჩლერი** (თურქეთი) — **სპორტინგი** (პორტუგალია)
**ვილიარეალი** (ესპანეთი) — **ტორპედო** (რუსეთი)
**მანჩესტერ სიტი** (ინგლისი) — **გროცლინი** (პოლონეთი)
**კოპენჰაგენი** (დანია) — **მალიორკა** (ესპანეთი)
**ბაზელი** (შვეიცარია) — **ნიუკასლი** (ინგლისი)
**დორტმუნდი** (გერმანია) — **სოშო** (საფრანგეთი)
**ზალცბურგი** (ავსტრია) — **პარმა** (იტალია)
**ფეიენოორდი** (ჰოლანდია) — **ტეპლიცე** (ჩეხეთი)
**ბენფიკა** (პორტუგალია) — **მიოლდე** (ნორვეგია)
**რომა** (იტალია) — **ჰაიდუკი** (ხორვატია)
**პერუჯა** (იტალია) — **არისი** (საბერძნეთი)
**სტიაუა** (რუმინეთი) — **ლივერპული** (ინგლისი)
**პაოკ** (საბერძნეთი) — **დებრეცენი** (უნგრეთი)
**ვალენსია** (ესპანეთი) — **მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი)
**რუსენბორგი** (ნორვეგია) 0:0 **ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)


რობი ფაულერი ბარში გამოიჭირეს

**ჩემპიონთა თასის** ოდინდელ (1986) მფლობელ „სტიაუას" არ გაუმართლა. ბუქარესტელებმა წინა ეტაპზე ერთი ინგლისური გუნდი („საუთჰემპტონი") უკვე ჩამოიშორეს, ამჯერად კი წილისყრამ „ლივერპული" არგუნა.

„მშვენივრად ვიცით, რომ „ლივერპული" „საუთჰემპტონზე" გაცილებით ძლიერია. მერსისაიდელებმა პრემიერლიგაში სეზონი კარგად ვერ დაიწყეს, მაგრამ გადაავლეთ თვალი შემადგენლობას და ფეხბურთელთა გვარები თავად მეტყველებენ ყველაფერზე. სულ არ მსიამოვნებს ამის თქმა, თუმცა ისინი წყვილში აშკარა ფავორიტები არიან" — თქვა „სტიაუას" მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ პიცურკამ.

მეტოქისგან განსხვავებით რუმინული კლუბი შინაურ ჩემპიონატს ათი ტურის შემდეგ ლიდერობს და მარცხის გემო ჯერ არ გაუსინჯავს. დღეს მასპინძლებს ტრავმის გამო ორი მოთამაშე არ ეყოლებათ: თავდამსხმელი ლაურენტიუ დინიტა და ნახევარმცველი სორინ პარასჩივი. სამაგიეროდ, გამთამაშებელი მარიან ალიუტა გამოჯანმრთელდა და ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ლივერპული" ერთ, მაგრამ მთავარ კაცს მოისაკლისებს — მაიკლ ოუენი დაშავებულია. იგი გუნდს ბუქარესტში ვერ დაეხმარება, თუმცა ფლორენ სინამა-პონგოლე და ენტონი ლე ტალეკი მერსისაიდელებში საკმაოდ ხეირიანად ჩაეწერნენ და დანაკლისს ისინი შეავსებენ.

მეორე ინგლისური კლუბი „მანჩესტერ სიტი" პოლონურ „გროცლინს" უმასპინძლებს, რომელმაც ევროპას თავი „ჰერტას" ძლევით გააცნო.

1922 წელს დაარსებული „გროცლინის" სტადიონი ოდენ 4200 ქომაგს იტევს. პატარა ქალაქ გროძისკის გუნდი უმაღლეს ლიგაში 1999 წელს ალზევდა და შარშან მეორე ადგილი დაიკავა. გროძისკელთა წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 5 მილიონი ევროა, მაგრამ გერმანიის დედაქალაქის ჯიბესქელი „ჰერტა" უეფას თასიდან მოისროლეს.

პოლონეთის ნაკრებში „გროცლინის" ხუთი ფეხბურთელი თამაშობს, მათ შორის კი შემტევი წყვილი, გჟეგოჟ რასიაკი — ანჟეი ნეძელანია გამოსარჩევი.

„ჰერტას" დამარცხება ნამდვილად დიდი წარმატება იყო — თქვა კლუბის პრეზიდენტმა — მაგრამ, ვფიქრობ, გუნდი „მანჩესტერ სიტისაც" შეებრძოლება. მიხარია კიდეც ასეთი ძლიერი მეტოქეები რომ შეგვხვდნენ, რადგან ბიჭები გამოცდილებას შეიძენენ. ჩვენი მთავარი მიზანი ევროთასებზე ღირსეული გამოსვლაა".

გჟეგოჟ რასიაკი: „ჰერტა" გავიარეთ. ახლა „მანჩესტერ სიტის" ჯერია. ფავორიტად ინგლისელები შერაცხეს, მაგრამ ჩვენი თავისა და მწვრთნელის (დუშან რადოლსკი) ნიჭის გვწამს. აუცილებლად შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ".

პოლონელები კევინ კიგანს ემუქრებიან, კიგანი კი რობი ფაულერზე ფიქრობს. ფაულერი ღამის კლუბში თუთუნის კვამლში გახვეული და ლუდის ბოთლებით ხელში უნახავთ. კლუბმა მისი დასჯა გადაწყვიტა. ფეხბურთელს დაახლოებით 120 ათას გირვანქას ააფცქვნიან (ორი კვირის ხელფასი), მწვრთნელი კი ალბათ „გროცლინთან" ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებს, მიუხედავად იმისა, რომ გასულ უქმეებზე „საუთჰემპტონს" გოლი გაუტანა. ფაულერის ნაცვლად შეტევაში სავარაუდოდ, ნიკოლა ანელკას გაამწესებს.

მიუნხენის „ბაიერნის" ძლევის შემდეგ „შალკეს" მთავარი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი იმტაზე მოვიდა: „ორი მძიმე მატჩი გველის „ბრონდბიუსთან", მაგრამ „ბაიერნის" დამარცხებამ ოპტიმისტურად განმაწყო. დანიელთა თამაში ვიდეოფირზე ვნახე. ფიზიკურად ძალიან ყოჩაღად გამოიყურებიან და დაცვაზე მეტად მეტოქის კართან ტრიალი უყვართ. ვფიქრობ, რომ „ბრონდბიუს" გავლა შეგვიძლია, ოღონდ დღეს ორბურთიანი სხვაობით მაინც უნდა მოვიგოთ".

„ხუმარათა" ლაზარეთიდან ჰამიტ ალტინტოპი, იორგ ბიომე, ტომაშ ჰაიტო და ვიქტორ აგალი გამოვიდნენ, მაგრამ ურუგვაელი დარიო როდრიგესი დაშავდა, რომელმაც ამ სეზონში ოთხი გოლი მიითვალა.

„ბრონდბიუს" 31 წლის გამოცდილი მეგოლე სუბენ ბაგერი ვერ დაეხმარება, რადგან კოჭი ისე საშინლად აწუხებს, რომ მარტამდე მკურნალობა სჭირდება.

დორტმუნდის „ბორუსიის" ტრავმირებულებს ბრაზილიელი მცველი დედე შეუერთდა. „შავ-ყვითელთა" მეორე მცველი კრისტოფ მეცელდერი მარტიდან აქილევსის მყესის დაზიანების გამო არ თამაშობს. მეცელდერი საშემოდგომოდ თითქოს გამოკეთდა, მაგრამ მას ოპერაციის მეორედ გაკეთება მოუწევს.

მათიას ზამერს ფეხბურთელები ამ სეზონის დასაწყისიდან გზადაგზა ეცლება, თუმცა „ბორუსია" მაინც ახერხებს ორ ფრონტზე ბრძოლას. ზამერისთვის ერთი სასიხარულო ამბავი მადუნისა და დემელის გამოჯანმრთელება გახლავთ.

„უდინეზეს" ძლევით „ზალცბურგის" დანიელმა მწვრთნელმა ლარს სენდერგაარდმა პოსტზე ყოფნა ორიოდ კვირით გაიხანგრძლივა, მაგრამ შინაურ ჩემპიონატში შედეგები დაუწუნეს და დაითხოვეს. მის ადგილს ალბათ დროებით სპორტული დირექტორი პეტერ ასიონი დაიკავებს.

კლუბის პრეზიდენტმა რუდი კვეჰენბურგერმა დაიჩივლა, იძულებული გავხდი, სენდერგაარდი გამეშვა, აბა, ფეხბურთელებს ხომ არ გავათავისუფლებდი, თუმცა კი წარუმატებლობა სულ მათი ბრალიაო.

პეტერ ასიონს წინამორბედივით იტალიური გამოცდა ელის. „პარმა" ბრწყინვალე ფორმაშია და „ზალცბურგის" ბარიერის დაძლევა არ უნდა გაუჭირდეს, მიუხედავად იმისა, რომ პარმელთა მთავარმეგოლე ადრიანო „ბრეშასთან" შეხვედრაში მძიმედ დაშავდა და ორთვიანი მკურნალობა მოუწევს. ჩეზარე პრანდელი მის ნაცვლად ანტონიო ჯილარდინოს ათამაშებს, რომელმაც „ბრეშასთან" გამარჯვების გოლი შეაგდო.


„შალკეს" დანიელი ებე სანდი დღეს თვისტომებს უმასპინძლებს

სერია A-ს მაჩანჩალებში გარეული „პერუჯას" მწვრთნელგამოცვლილი „არისი" ესტუმრება. თავის ჩემპიონატში ცუდან ვარსკვლავებს ვერც სალონიკელები წყვეტენ და უეფას თასზე წინსვლა ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანია.

„არისის" დროებითი თავკაცი გიორგიოს პანციარასი დანიელმა ოლე სკობემ შეცვალა. 54 წლის სპეციალისტს ფეხბურთელობისას სალონიკურ გუნდში უთამაშია, ბოლო ცხრა წლის მანძილზე კი „ვიბორგს" წვრთნიდა.

და ბოლოს, ერთი სამკითხაო ამბავი მოსკოვის „სპარტაკის" ქომაგებისთვის: ეგორ ტიტოვი ტრავმირებულია და მისი თამაში დღეს საეჭვოა. იური კოვტუნიც ექიმების ხელშია, კალინიჩენკო კი დისკვალიფიცირებული. „სპარტაკი" ბუქარესტის „დინამოს" უმასპინძლებს, რომელმაც წინა ეტაპზე დონეცკის „შახტარს" ორივე მატჩი მოუგო.

**ვაჟა ხუციშვილი**





„დორტმუნდის" ლაზარეთს დედეც შეემატა, რამაც მათიას ზამერს, ცხადია, გუნება წაუხდინა


მაიკლ ოუენი ბუქარესტში ფეხმა არ გაუშვა

# სინიშას ფურთხი მუტუმ არ ალოკა




**სინიშა მიხაილოვიჩს** დასჯიან, უთუოდ დასჯიან — ერთი იმიტომ, რომ სინიშა მიხაილოვიჩია და მისი ავი ზნის ამბავი ყველამ იცის. მეორე და მთავარი ის გახლავთ, რომ ნაღდად დასასჯელი რამ გააკეთა.

სინიშა მიხაილოვიჩმა ჩემპიონთა ლიგის გუშინწინდელი შეხვედრისას ჩელსელ ადრიან მუტუს შეაფურთხა. ეს ეპიზოდი მატჩის რუს არბიტრ ვალენტინ ივანოვს გამოეპარა, მაგრამ კამერებს რა გამორჩებოდათ და ფირზე აღბეჭდეს. მოგვიანებით, „ლაციოს“ სერბი მცველი ივანოვმა გააგდო, ოღონდ სულ სხვა მიზეზით, უხეში თამაშის გამო.

მიხაილოვიჩის „გმირობა“ კი ფურთხებით არ ამოწურულა, მეტოქის სათადარიგოთა სკამისკენ ბოთლიც მოისროლა.

ისე, თუ გახსოვთ, მიხაილოვიჩმა სამი წლის წინ პატრიკ ვიეირას შავი მაიმუნი უწოდა, რის გამოც მკაცრად დასაჯეს და საჯაროდ ბოდიშიც მოახდევინეს.

ახლა მას, სავარაუდოდ, ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელოდება, რადგან შარშან სელტელი პეტერ ლუქსენი უეფას თასზე სელტიკელი ფეხბურთელისთვის შეფურთხებისთვის სწორედ ამდენი მატჩით დასაჯეს.

სხვათა შორის, მიხაილოვიჩს დამცველები უკვე გამოუჩნდნენ. ერთი მათგანი მისივე მწვრთნელი რობერტო მანჩინია, რომელმაც თქვა, სინიშა „ბულკივით“ ბიჭია და პროვოკაცია თუ არ მოუწყვე, ბუზსაც არ ააფრენსო. მეორე ქომაგი კი რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, შეფურთხებული ადრიან მუტუა. რუმინელმა „გაძეტა დელო სპორტს“ უთხრა, სულაც არ მოვითხოვ მიხაილოვიჩის დასჯასო.

მაგრამ მწვრთნელს და ფეხბურთელს ვინ ჰკითხავს, როცა თავად „ლაციოს“ პრეზიდენტმა განაცხადა, როცა ამგვარი რამეები ხდება, ტოლერანტობა სრულიად უადგილოაო. უეფაც, ცხადია, ამ აზრზეა.

**ირაკლი ნინიძე**



## მილანი სტატისტიკამაც აღიარა

*მიუხედავად იმისა, რომ „მილანმა“ საამსეზონო ჩემპიონთა ლიგა მთლად კარგად ვერ დაიწყო — ვიგოში ფრესა და შინ „ბრიუგესთან“ მარცხს ვგულისხმობთ — ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ეს გუნდი დღეისთვის მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნია. ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ სერია A-ში კარლო ანჩელოტის გუნდი დაუმარცხებელია. ცხადია, ჩემპიონთა ლიგაში შარშანდელი ტრიუმფიც დასავიწყებელი არ არის.*

*კლასიფიკაცია 2002 წლის 1 ნოემბრიდან ამა წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს.*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | (1) | მილანი | იტალია | 297 |
| 2 | (4) | რეალი | ესპანეთი | 295 |
| 3 | (3) | სანტოსი | ბრაზილია | 290 |
| 4 | (2) | სელტიკი | შოტლანდია | 262 |
| 5 | (8) | პორტუ | პორტუგალია | 261,5 |
| 6 | (6) | იუვენტუსი | იტალია | 261 |
| 7 | (11) | ბოკა ხუნიორსი | არგენტინა | 258 |
| 8 | (5) | ლაციო | იტალია | 256 |
| 9 | (7) | დეპორტივო | ესპანეთი | 253 |
| 10 | (10) | არსენალი | ინგლისი | 240 |
| 11 | (9) | მანჩესტერი | ინგლისი | 237 |
| 12 | (15) | კრუზეირო | ბრაზილია | 224 |
| 13 | (13) | ანდერლეხტი | ბელგია | 222,5 |
| 14 | (15) | აიაქსი | ჰოლანდია | 216 |
| 15 | (25) | რივერ პლეიტი | არგენტინა | 214 |
| 16 | (12) | ინტერი | იტალია | 212 |
| 17 | (14) | ბარსელონა | ესპანეთი | 205 |
| 18 | (22) | ბაიერნი | გერმანია | 200 |
| 19 | (19) | ოსერი | საფრანგეთი | 197 |
| 20 | (24) | სლავია | ჩეხეთი | 190 |



ეს ჩაფხუტიანი კაცი აბრამოვიჩის ოჯახს დაიცავს

# იძინე მშვიდად, მისტერ აბრამოვიჩ!

**ხუთი** შვილის მამას, რომან აბრამოვიჩს თურმე დღედაღამ ტერორისტები, ბავშვების გამტაცებლები და სხვა ჯურის ავაზაკები ელანდება. ვაღიაროთ, რომ აბრამოვიჩის ფულის პატრონს ცოტათი კი უნდა ეშინოდეს.

სერჟანტი მარკ სკაპერი კი სულაც არ არის მილიარდების პატრონი. ის ბრიტანული არმიის განთქმული გამნაღმველია. ისე, კაცი რომელიც 20 წელი გამნაღმველად მუშაობს და ჯერაც ცოცხალია, კი იქნება ამ პროფესიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი. და თან სერჟანტი სკაპერი განა გულხელდაკრეფილი ზის — ავღანეთი და ბოსნია აქვს ნაღმების ძებნაში შემოვლილი.

მოკლედ, მისტერ აბრამოვიჩმა სერჟანტი სკაპერი დაიქირავა და წელიწადში 200 ათას გირვანქას გადაუხდის. აბრამოვიჩისთვის დიდი თანხა არც არის, სამაგიეროდ, მშვიდი ძილი გარანტირებული აქვს. სერჟანტსაც რა ენაღვლება, ნაღმების ძებნის ნაცვლად აბრამოვიჩთან ერთად მთელ მსოფლიოში მოგზაურობა ევალება, ასე ვთქვათ, ფულსაც ჩაიჯიბავს და თვალსაც წყალს დაალევინებს.

**გოჩა სუმბაძე**

# ალ საადი ალაჰმა დაწყევლა
## პერუჯა კადაფში ჩავარდა

**„პერუჯა“** მწვრთნელ-პრეზიდენტიანად უცნაური გუნდია. სერსე კოზმი მოედნის კიდესთან წინ და უკან სიარულს რომ დაიწყებს, მის დაშოშმინებას ბარე სამი მეოთხე მსაჯი სჭირდება.

კლუბის პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი არანაკლებ გადარეულია. გასულ ზაფხულს ატყდა, ლიბიის მმართველის ვაჟი, ალ საად კადაფი გუნდში უნდა მოვიყვანო, თავისი ქვეყნის ჩემპიონატის ბომბარდირიაო. მუამარ კადაფის ნაშიერს ლიბიის მთავარმეგოლეობა გაუჭირდებოდა? მის გუნდს ჩემპიონობა, ალ საადს კი ბომბარდირობა ხომ ფაქტობრივად, განაღდებული ჰქონდა (კარგი შეიხის შვილი ხარ და პასს ნუ მისცემ).

ივნისში ეს ტრანსფერი გაიჩარხა. გაუჩიმ ბრძანა, მერე რა, რომ არაბია, ბრწყინვალე ფეხბურთელიაო.

მას შემდეგ ხუთი თვე გავიდა, მაგრამ „არაბულას“ ძირითად შემადგენლობაში თამაში არ ეღირსა, მხოლოდ ვარჯიშებზე ბურთაობით ერთობოდა.

ეს ალბათ უნიკალური შემთხვევაა — ახალ გუნდში ხუთი თვის გადასული ფეხბურთელი მოედანზე ერთხელაც არ გასულა და... (ვაი, შენს მუამარს!) დოპინგ-ტესტზე ჩავარდა!

ეს ამბავი იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა (მსგავსი საქმეები აპენინებზე მას ევალება) გუშინ გაამხილა. სულთნისშვილმა ანალიზი 5 ოქტომბერს („პერუჯა“ — „რეჯინას“ მატჩი) ჩააბარა და რამდენიმე შემოწმების შედეგად სისხლში ნანდროლონის შემცველობა დაუმტკიცეს.

ლუჩანო გაუჩის უბედურება აქ არ მთავრდება. „პერუჯას“ ჩემპიონატში ჯერ მატჩი არ მოუგია და ქვევით მიექანება. კლუბის პრეზიდენტმა წარუმატებლობის მიზეზად მათ წინაღმდეგ შეთქმულება დაასახელა.

„იტალიური ფეხბურთის მაფიოზი მამები ჩვენს ჩასაძირად დაირაზმნენ იმიტომ, რომ ზაფხულში მე „კატანიას“ მივემხრე“.

„კატანიას“ ამბავს მოკლედ შეგახსენებთ. სერია C-დან B-ში აღზევებული გუნდს დაუსაბუთებელ მიზეზთა გამო უკანვე აძევებდნენ. კლუბმა თავისი ადგილი სასამართლო ძალით შეინარჩუნა, სერია „B“ კი 24 გუნდამდე გაიბერა. სწორედ მაშინ ლუჩანო გაუჩიმ კატანიელების მხარე დაიჭირა და, მისივე თქმით, ახლა „პერუჯა“ ამის გამო ისჯება.

„ბოლო რამდენიმე მატჩში მსაჯებმა უნამუსოდ გაგვწირეს. ასეთ არაერთ შემთხვევას დაგისახელებთ. თუნდაც „მოდენას“ შეხვედრა გაიხსენეთ, როცა ჩვენს სასარგებლოდ ათასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნეს“ — დასძინა პრეზიდენტმა.

**მაჩა ხუციშვილი**



# ძირს კლემენტე, გაუმარჯოს ფერნანდესს!

## ხავერდოვანი რევოლუცია ესპანიოლში





კატალონიურ „ესპანიოლში" დიდი ცვლილებებია. წლევანდელი უიღბლო სეზონისგან (ათ მატჩში ოდენ 5 ქულა და ცხრილში ბოლო ადგილი) გაღიზიანებულმა პრეზიდენტმა სანჩეს ლიბრემ თავისი კლუბის უმაღლესი სადამრიგებლო თანამდებობა ესპანეთის ნაკრების ყოფილ თავკაცს, ხავიერ კლემენტეს ჩამოართვა და ფრანგ ლუის ფერნანდესს ჩააბარა. „მეტის მოცდა ნამდვილად არ შეიძლება. გუნდი კატასტროფის ზღვარზეა მისული, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, თორემ სეგუნდაში დაქვეითება აგვცდება" — განუცხადა პრეზიდენტმა „ელ მუნდო დეპორტივოს".

დანიელ სანჩეს ლიბრე გუშინწინ გვიან ღამემდე ეთათბირებოდა „ესპანიოლის" მმართველ საბჭოს, რის შემდეგაც უკვე ხსენებული გადაწყვეტილება მიიღო. არადა, ვიდრე „სარაგოსასთან" კლემენტეს შეგირდებმა საკუთარ სტადიონზე უსახურად (0:2) არ წააგეს, ლიბრე კლემენტეს ყველაზე მხურვალე მცველგულშემატკივარი გახლდათ. „მივცეთ მშვიდად მუშაობის საშუალება, დარწმუნებული ვარ, შექმნილ სიტუაციას თავს გაართმევს" — სწორედ ეს სიტყვები უთხრა ერთი ტურის წინ სანჩესმა სპორტულ მედიას. რამდენიმე დღის შემდეგ კი, უკვე გითხარით, რაც მოხდა.

ლუის ფერნანდესი, წარსულში სახელიანი ფეხბურთელი და პარიზული პსჟ-ს ოდინდელი მწვრთნელი „ესპანიოლში" ჯერჯერობით 2003-04 წლების სეზონის დასასრულამდე დარჩება. დამხმარედ კრისტობალ პარალო (ფეხბურთელობისას „ესპანიოლის" მცველი გახლდათ) ეყოლება. კლემენტეს ფავორიტი თანაშემწეები, რამონ მოია და ელოი პერესი, კლუბის შედარებით დაბალხელფასიან ადგილებზე გადაინაცვლებენ. თანამდებობრივი კრიზისი სერხიო მორგადოს, ტექნიკურ დირექტორსაც შეეხო, რომელსაც ალბათ მალე ხავიერის გზას გაუყენებენ. ერთი სიტყვით, კატალონიურ გუნდში ტიპიური ხავერდოვანი გადატრიალება განხორციელდა. „პრიმერადივიზიონში მუშაობის გამოცდილება მაქვს და ვიცი, ამ ლიგაში როგორ უნდა ვიმუშაო. იმედია, საფეხბურთო ფორტუნაც ხელს შემიწყობს" — თქვა ლუის ფერნანდესმა. ჰო, მართლა „ესპანიოლს" მე-11 ტურში „ბილბაოსთან" უწევს შერკინება, ბასკურ კლუბთან, სადაც ბარსელონელთა ახლანდელი დამრიგებელი მთელი ოთხი სეზონი (1996-99) მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ასე რომ, პირველ ესპანურ ბრძოლას გალი მაესტრო „შინაურ" „სან მამესზე" გადაიხდის.

**ლადო ხომერიკი**

# ბრავო, სავო!

## კარგი პასი ნახევარი გოლია, კარგი ქომაგი – ნახევარი გუნდი



სავო მილოშევიჩმა „აიაქსის" დაცვა დააწიოკა

*გუშინწინ ვიგოს „სელტამ" ჩემპიონთა ლიგის უხვგოლიან მატჩში (3:2) ამსტერდამის „აიაქსი" დაამარცხა. გალისიელთა ყველაზე თავგამოდებული მებრძოლი სერბი სავო მილოშევიჩი გახლდათ. „სელტას" ლეგიონერმა „ბალაიდოსზე" ულამაზესი გოლი გაიტანა, ამსტერდამელებს საპენალტო შეცდომაც აკისრებინა და საერთოდ, მთელი მატჩის განმავლობაში „აიაქსის" დაცვის ხაზი გვარიანად დააწიოკა. ახლა წინ ბელგიურ „ბრიუგესთან" მნიშვნელოვანი შეხვედრაა. მილოშევიჩს „ლიბრედირექტოს" ჟურნალისტები ესაუბრნენ*

**— „სელტა" — „აიაქსის" შერკინებას მოკლედ როგორ შეაფასებდით?**

— უპირატესობას ვფლობდით და გამარჯვებასაც „სელტა" იმსახურებდა, მართალია, მეორე ტაიმის ბოლოს მეტოქემ ძლიერად შემოგვიტია, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდა. მთავარი მოგება იყო, რასაც მივაღწიეთ კიდეც.

**— ვიგოელი ინჩასები საოცრად გახარებულები იყვნენ. ჩანს, „ბალიადოსის" ტრიბუნებს მშობლიური გუნდის რწმენა დაუბრუნდათ...**

— გეთანხმებით, გულშემატკივარს ჩვენი კვლავაც სჯერა, რაც „სელტას" ნებისმიერი წევრისთვის ბევრს ნიშნავს. ვთვლი, რომ კლუბი ამას იმსახურებდა — კარგად ვითამაშეთ, ლამაზი გოლებიც გავიტანეთ და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ.

**— თქვენი აზრით, „სელტას" ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლა შეუძლია?**

— რა თქმა უნდა, შეუძლია. ჩვენ ხომ ჯგუფში ყველა მეტოქეზე უკეთესი მატჩები ჩავატარეთ, თუმც შედეგი ყოველთვის არ ასახავდა ამას. „ბრიუგესთან" გადამწყვეტი შეხვედრა გველის. კვლავ შინ, „ბალაიდოსზე" ვითამაშებთ. ბელგიელებზე უკეთესი შემადგენლობა გვყავს და ამ მატჩსაც მოვიგებთ.

**— „აიაქსთან" ბრწყინვალე გოლი გიატანეთ...**

— როდესაც კარგ პასს გაძლევენ, გატანაც აღარ უნდა დააყოვნო. ზუსტი საგოლე გადაცემა თავისთავად უკვე ნახევარ გოლს ნიშნავს.

**— სავო მილოშევიჩისთვის საჩემპიონთალიგო მატჩში მეტოქის კარის აღება „ჩვეულებრივი გოლისგან" რითი განსხვავდება?**

— განუმეორებელი შეგრძნება მქონდა. მე ხომ ასეთი რანგის ტურნირში „აიაქსამდე" ერთი ბურთიც არ გამიტანია.

**— ვიგოს მთავარმა გუნდმა ამ სეზონში მრავალი უსიამოვნო წუთი განიცადა. ალბათ, ამასთან დაკავშირებით თქვენც ბევრი ინერვიულეთ...**

— როდესაც კლუბი კარგად თამაშობს, მაგრამ შედეგი საპირისპიროა, ბევრი თავსატეხი ჩნდება. ჰოლანდიელებთან ჩინებულად ვიბურთავეთ და შედეგიც სასურველი იყო, თუმც ერთ რამეზე მაინც მწყდება გული — ჩვენი უპირატესობა უფრო დიდი [illegible]არიშით მოგებაში უნდა გამო[illegible]ულიყო.

**— გალისიელ ქომაგთა და „სელტას" შორის ადრე არსებულ უთანხმოებაზე რას გვეტყვით?**

— ბუნებრივია, როცა 5-6 მატჩის განმავლობაში მეტოქე პირველივე წუთებში გოლებით დაგსეტყვავს, ხალხს გუნება უფუჭდება. ამიტომაც ინჩასებს კლუბისადმი უკვე განვილილ იმედგაცრუებაში ვერ დავადანაშაულებ. მთავარია, ახლა დაგვიჭირონ მხარი, მათი ქომაგობა პრიმერაშიც და ლიგაშიც განსაკუთრებით გვჭირდება. ჩვენც ვეცდებით, ერთგული გულშემატკივარი „სელტას" სიძლიერეში არ დავაეჭვოთ.

**— თვლით, რომ საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეთ?**

— საკუთარ თამაშზე არ ვლაპარაკობ, თუმც უკმაყოფილებაც სისულელეა. ცხოვრება და ფეხბურთი ერთმანეთს ჰგავს, ხან გამოგდის რაიმე საქმე, ხან არა. „აიაქსთან" ბედნიერი გაბრწყინება მქონდა, ისევე როგორც „სელტას" მობურთალთა უმეტესობას.

**— ესე იგი, მილოშევიჩი და კამპანია „ბრიუგეს" დამარცხებას აპირებს?**

— აუცილებლად! შემდგომ ეტაპზე გასასვლელად 3 ქულა ჰაერივით გვჭირდება.

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ჯილინგემი 1:3 სანდერლენდი**

1:0 შოუ (37), 1:1 დოუნინგი (45), 1:2 ოსტერი (58), 1:3 მ. სტიუარტი (72)

**პრესტონი 2:1 უოტფორდი**

1:0 ებოტი (51), 1:1 ვებერი (64), 2:1 დ. პილი (90)

**შეფილდ იუნ. 2:0 ძრიუ**

1:0 კ. არმსტრონგი (21), 2:0 ლესტერი (74)

**უოლსოლი 4:1 ნოტინგემი**

1:0 ვრაკი (30), 2:0 ოსბორნი (36), 2:1 რიდი (42), 3:1 ვრაკი (64), 4:1 ბირჩი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 17 | 9 | 6 | 2 | 26:13 | 33 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 10 | 2 | 4 | 23:13 | 32 |
| შეფილდი | 17 | 9 | 4 | 4 | 28:18 | 31 |
| სანდერლენდი | 17 | 9 | 4 | 4 | 22:12 | 31 |
| ნორვიჩი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:16 | 31 |
| ვესტ ჰემი | 16 | 7 | 7 | 2 | 19:11 | 28 |
| იფსვიჩი | 17 | 8 | 3 | 6 | 32:26 | 27 |
| მილუოლი | 17 | 7 | 6 | 4 | 21:16 | 27 |
| პრესტონი | 17 | 8 | 2 | 7 | 25:20 | 26 |
| კარდიფი | 16 | 6 | 6 | 4 | 27:16 | 24 |
| ნოტინგემი | 17 | 7 | 3 | 7 | 29:23 | 24 |
| რედინგი | 16 | 7 | 3 | 6 | 23:19 | 24 |
| ქრიუ | 17 | 7 | 3 | 7 | 18:21 | 24 |
| უოლსოლი | 17 | 6 | 4 | 7 | 22:20 | 22 |
| ქოვენთრი | 15 | 5 | 5 | 5 | 22:22 | 20 |
| ბარნსლი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:29 | 20 |
| უოტფორდი | 17 | 5 | 4 | 8 | 18:22 | 19 |
| ჯილინგემი | 17 | 5 | 4 | 8 | 19:29 | 19 |
| სტოკი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:22 | 17 |
| კრ. პალასი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:29 | 16 |
| დერბი | 17 | 3 | 5 | 9 | 16:31 | 14 |
| როტერჰემი | 17 | 2 | 7 | 8 | 10:26 | 13 |
| ბრედფორდი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:27 | 12 |
| უიმბლდონი | 16 | 3 | 1 | 12 | 17:38 | 10 |

## პოლონეთი

### პირველი ლიგა
### გადადებული მატჩი

**პოლონია 1:0 ოდრა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 11 | 8 | 1 | 2 | 19:9 | 25 |
| ვისლა | 11 | 8 | 0 | 3 | 29:13 | 24 |
| ლეჩნა | 11 | 7 | 1 | 3 | 14:14 | 22 |
| ლეგია | 11 | 5 | 5 | 1 | 18:10 | 20 |
| პლოცკი | 11 | 5 | 2 | 4 | 19:19 | 17 |
| გროცლინი | 11 | 4 | 4 | 3 | 22:12 | 16 |
| ოდრა | 11 | 4 | 3 | 4 | 15:18 | 15 |
| კატოვიცე | 11 | 4 | 3 | 4 | 9:20 | 15 |
| გურნიკი | 11 | 3 | 5 | 3 | 13:13 | 14 |
| ლეხი | 11 | 3 | 2 | 6 | 20:17 | 11 |
| ვიძევი | 11 | 2 | 4 | 5 | 16:21 | 10 |
| პოლონია | 10 | 1 | 5 | 4 | 7:11 | 8 |
| პოლკოვიცე | 11 | 1 | 3 | 7 | 7:18 | 6 |
| სვიტი | 10 | 0 | 4 | 6 | 7:20 | 4 |

## აშშ

### MLS. 1/4 ფინალი. 1 მატჩი

**კოლორადო 1:1 კანზასი**

## მექსიკა

### აპერტურა. XVI ტური

**ტიგრესი 1:0 ტოლუკა**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### პლეი ოფი. 15-19 ნოემბერი

**რუსეთი — უელსი**

**რუსეთი**

*მეკარეები: სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი), ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი), იგორ აკინფეევი (ცსკა);*

*მცველები: ვიქტორ ონოპკო (სპარტაკ-ალანია), ანდრეი სოლომატინი (ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი, გენადი ნიჟეგოროდოვი, ვადიმ ევსეევი, დმიტრი სენიკოვი (ყველა ლოკომოტივი);*

*ნახევარმცველები: ალექსეი სმერტინი (პორტსმუთი, ინგლისი), ალექსანდრ მოსტოვოი (სელტა, ესპანეთი), დმიტრი ალენიჩევი (პორტუ, პორტუგალია), ეგორ ტიტოვი (სპარტაკი), როლან გუსევი (ცსკა), დმიტრი ლოსკოვი, მარატ იზმაილოვი (ორივე ლოკომოტივი), ანდრეი კარიაკა (კრილია სოვეტოვი), ვლადისლავ რადიმოვი (ზენიტი), ევგენი ალდონინი, ვალერი ესიპოვი (ორივე როტორი);*

*თავდამსხმელები: დმიტრი სიჩოვი (მარსელი, საფრანგეთი), დმიტრი ბულიკინი (დინამო), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი)*

# კალაძემ ინტერნეტში ივარჯიშა

# კახას ფეხი ურჩება, ნაკრები სტკივა

*გუშინ ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა გაავრცელა ინფორმაცია, „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი გახარებულია, ვარჯიში გუნდის წამყვანმა ფეხბურთელებმა, კახა კალაძემ და ფილიპო ინძაგიმ განაახლეს და შესაძლოა, „პარმასთანაც“ ითამაშონო. ცხადია, ეს უფრო ჩვენებურის გამო გვეამა, საქართველოს ნაკრების დაცვის ბურჯი ხომ ორთვენახევრიანი უქმობის მერე საქმეს უნდა შესდგომოდა, მაგრამ...*

*გუშინვე კახა კალაძეს მილანში დავუკავშირდით*

— ტყუილია, ნამდვილად არ მივარჯიშია. ფეხი კვლავ მაწუხებს. ალბათ, ორ კვირაში სრულ მზადყოფნაში ვიქნები. ექიმები ასე მაიმედებენ და მეც ერთი სული მაქვს, მინდორზე როდის გავალ.

**— „ბრიუგესთან“ მატჩს ნახავდი. შედეგი ლოგიკურია?**

— ვთვლი, რომ ასეა. გუნდმა ძალიან მაღალ დონეზე ითამაშა. მთელი სული და გული ჩადეს ბიჭებმა და დამსახურებულად მოიგეს. ხარისხიც მომეწონა. სხვა თუ არაფერი, ჩემპიონთა ლიგის მატჩი იყო და მეტოქეს მთელი ტაიმნახევარი ათნი ეთამაშნენ. კაცნაკლული გუნდისთვის სტუმრად მოგება იოლი როდია.

**— პაოლო მალდინი დაშავდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ, სულ ცოტა, ერთ თვეს ვერ ითამაშებს...**

— კაპიტანს ხვალ გამოიკვლევენ, ზუსტ დიაგნოზს დაუსვამენ და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, რა დრო დასჭირდება გამოსაჯანმრთელებლად.

**— ბრაზილიელ კაკაზე ბევრს ლაპარაკობენ და ძალიანაც აქებენ.**

— ძალიან ნიჭიერია, ამას ალბათ ყველა ხედავს. გაზვიადებული არაფერია. თანაც, პიროვნულადაც ჩინებული ადამიანია. „ბრიუგესთან“ უმნიშვნელოვანესი და ლამაზი გოლი შეაგდო.

**— ალბათ, თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ კაკამ რუი კოშტა და რივალდო დასვა სათადარიგოთა სკამზე...**

— ვერ დაგეთანხმები. რუი კოშტა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებელია. უბრალოდ, ანჩელოტისეული როტაციის გამოა ასე. სეზონი გრძელია და მომქანცველი, შეუძლებელია, ფეხბურთელმა ყველა თამაში ითამაშოს.



**— რივალდოს რომ „მილანის“ დატოვება სურს, ცნობილია. რუი კოშტაზე კი ათასი მითქმა-მოთქმაა. იანვრიდან ხან „ლივერპულში“ უშვებენ, ხან „ბარსელონასა“ თუ „ბენფიკაში“. მართალია?**

— გაზვიადებულია ყველაფერი. პორტუგალიელი „მილანისთვის“ ძალიან საჭირო ფეხბურთელია, უთანხმოებაც არავისთან აქვს და კონტრაქტის ბოლომდეც აქ აპირებს დარჩენას. მერე რას გადაწყვეტს, არ ვიცი.

**— შარშანდელთან შედარებით „მილანი“ წლეულს ჩემპიონთა ლიგაში შთამბეჭდავად ვერ თამაშობს. ახლა ხომ უფრო მეტი დრო გაქვთ ძალების აღსადგენად სერიის მატჩებიდან ლიგის მატჩებამდე...**

— ვხვდები, რასაც მეკითხები და გიპასუხებ — მთავარი ხომ შედეგია! სერია A-შიც და ლიგის ჯგუფშიც პირველ ადგილზე ვართ და ვფიქრობ, დამსახურებულადაც. კარგი თამაში ყველას დაავიწყდება, შედეგი კი არავის.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. გაიგებდი, საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელობას ფრანგ ანრი მიშელს სთავაზობენ და ისიც უარზე არაა...**

— პირველად მესმის, ეგ ვინ არის?

**— 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებს თავკაცობდა. ფრანგული კლუბებიც გაუწვრთნია...**

— ვერაფერს ვიტყვი. არ ვიცი, არ ვიცნობ და, ცხადია, არც მის სამწვრთნელო ავანჩავანზე გამიგია რამე.

**— მაშინ ასე ვთქვათ: მოვიდა უცხოელი, მცოდნე და გამოცდილი. შენი აზრით, მან უპირველესად რა უნდა შეცვალოს, რა სჭირდება საქართველოს ნაკრებს?**

— ტაქტიკური განსწავლულობა. არ დავკონკრეტდები, მაგრამ ნაკრებში არის ბევრი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ამ მხრივ გაუნათლებელია, ანუ არ იცის, მინდორზე რა აკეთოს. დადგა ოთხი კაცი დაცვაში, მაგრამ მერე? დაცვაში თამაში და, რაც ყველაზე მთავარია, გუნდური თამაში არ ვიცით. ინდივიდუალიზმი ფეხბურთელის სიძლიერეზე არ მეტყველებს. უნდა იცოდე, რა გევალება და რა გააკეთო. მინდორზე სწორად მოძრაობა და გამართული ფეხბურთის თამაში უნდა ვისწავლოთ. ერთხელ ვითამაშეთ გუნდურად თბილისში რუსებთან და მართლაც დამსახურებულად მოვიგეთ. ერთი სიტყვით, იმის თქმა მსურს, რომ ტაქტიკაში ძალიან მოვიკოჭლებთ. ვისწავლით? გვასწავლის მწვრთნელი? მერწმუნეთ, შედეგიც აუცილებლად მოვა. ფეხბურთში ხომ შედეგია უმთავრესი.

**გიორგი ვაჩნაძე**



*თბილისის „დინამოს“ მმართველ დირექტორად დავით პეტრიაშვილი ჯერ წელიწადიც არაა, რაც დაინიშნა. ჩვენი ჩემპიონის „ტირანასთან“ მარცხის შემდეგ „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი ჩამოაცილეს და ახლა კლუბის მართვაზე ერთპიროვნულად პასუხისმგებელი, ფაქტობრივად, პეტრიაშვილია. დაახლოებით ერთი თვის წინ კი „დინამოში“ სწორედ ფეხბურთელებსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის მოხდა კონფლიქტი, თუმც ყოველივე განელდა, ჩაცხრა და პეტრიაშვილის საქმიანობაც „დინამოში“ ახალ სტადიაზე გადადის. „დინამოს“ მმართველ დირექტორს გუშინ დილმის ბაზაზე ვესტუმრეთ*

# მმართველმა დირექტორმა იდეოლოგობა იტვირთა

## პატარკაციშვილს ლამაზი სამკაული უნდა ჰქონდეს

## პეტრიაშვილმა ხუთი მილიონის შესახებ არაფერი იცის

**— უკვე ჩამოყალიბებული გაქვთ „დინამოს“ სამომავლო სტრატეგია? რას უნდა ველოდოთ „დინამოსგან“ უახლოეს მომავალში?**

— კლუბის ხელმძღვანელი შორს, მარათონულ დისტანციაზე უნდა ხედავდეს სტრატეგიას. საქმე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაკეთდეს, რადიკალური ცვლილებები მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

**— გასაგებია, მაგრამ „დინამოს“ რომ ბევრი ფეხბურთელი დატოვებს პირველი წრის დამთავრების შემდეგ, ეს ხომ ფაქტია...**

— აქ ლაპარაკია საერთო ატმოსფეროსა და საქმისადმი მიდგომის შეცვლაზე — ყოველივე ეს უკეთესობისკენ უნდა წავიდეს. ზოგიერთ დინამოელს კონტრაქტი უმთავრდება კლუბთან, ზოგმაც უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები „დინამოში“.

**— რა კონტინგენტით შეიცვლებიან ეს ფეხბურთელები? „დინამო 2“-ის ახალგაზრდები გასწვდებიან პირველ გუნდს თუ ლეგიონერებს მოიწვევთ?**

— „დინამოს“ პირველი გუნდი მხოლოდ „დინამო 2“-დან კი არა, მთელი საქართველოდან უნდა შეივსოს. შესაძლებელია ლეგიონერების მოწვევაც, მაგრამ ჩვენ შორს მიმავალი მიზნები გვაქვს, რისთვისაც ჯერ გუნდის ღერძი უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენივე რესურსებით.

**— დამკვიდრებული აზრია — დღევანდელი „დინამო“ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეთაგან საუკეთესო ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული — მაშ, რატომ უშვებთ მათ და რატომ მოგყავთ სხვები?**

— ეს სუბიექტური აზრია. თუმც, ზოგადად, „დინამოში“ მართლაც საუკეთესოები უნდა თამაშობდნენ. მაგრამ გუნდში ახლა სხვა ფსიქოლოგია, სხვა მენტალიტეტი უნდა დავამკვიდროთ — „დინამოს“ იდეოლოგია უნდა შევქმნათ და შენივე აღზრდილი ფეხბურთელი ამ იდეოლოგიაში იქნება ჩამჯდარი. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა გუნდებიდან ფეხბურთელებს არ მოვიწვევთ.

**— როდისთვის ჩამოყალიბდება „დინამო“ ევროპული დონის გუნდად?**

— სამი ეტაპი დაგვჭირდება იმისთვის, რომ ევროპული ფეხბურთის მწვერვალს მივუახლოვდეთ, ანუ გავხდეთ კონკურენტუნარიანი გუნდი საშუალო ევროპული მასშტაბით. მოკლედ, არარეალურ მიზნებს არ ვსახავთ ჩვენი რესურსებიდან გამომდინარე. პირველ ეტაპზე სწორედ გუნდის ღერძის შექმნა უნდა მოვახერხოთ.

**— ამ ეტაპებში რა როლი აკისრია ივო შუშაკს? შუშაკმა „სარბიელთან“ ამასწინდელ ინტერვიუში თქვა, „დინამოს“ ჯერ სტრატეგიული გეგმა არა აქვსო. მოკლედ, როდის უმთავრდება შუშაკს კონტრაქტი და აპირებთ თუ არა მის გაგრძელებას?**

— შუშაკი მაღალი დონის სპეციალისტია და მან ჩემპიონობის და თასის მოგებით „დინამოს“ რწმენა დაუბრუნა. შუშაკი აქტიურად მონაწილეობს ჩვენს გეგმებში, კონტრაქტი „დინამოსთან“ სეზონის ბოლომდე აქვს და მის გაგრძელება-არგაგრძელებაზე კლუბში საუბარი ჯერ არ ყოფილა.

**— შუშაკს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სურდა მუშაობის გაგრძელება, მაგრამ „დინამომ“ ეს არ ისურვა. შარშან თქვენ მერაბ ჟორდანიას მოწინააღმდეგე იყავით ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ აქ ხომ საქმე ეროვნულ ნაკრებს, ეროვნულ ინტერესებს ეხება. თუმც ისიცაა, რომ კლუბს ვერავინ დაავალდებულებს მწვრთნელი ნაკრებშიც ამუშავოს.**

— ფედერაციის ხელმძღვანელობას მე განვუმარტე, რომ კლუბისთვისაც და ნაკრებისთვისაც უკეთესი იქნებოდა, რომ შუშაკს მხოლოდ ერთ პოსტზე ემუშავა. რახან დაპირისპირება ახსენეთ, ერთს ვიტყვი — როცა ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდებოდა, იმაზე წავიდა ლაპარაკი, რომ ნაკრების ზოგიერთი ფეხბურთელი პრეზიდენტობის ამა თუ იმ კანდიდატს უჭერდა მხარს. მაგრამ მაშინაც ჩემი პოზიცია ცალსახა იყო — არჩევნები არ ღირს ეროვნული ნაკრების გასახლეჩად. ამ შემთხვევაშიც ჩვენი და ეროვნული ნაკრების ინტერესები არ გადაკვეთილა. უბრალოდ, როცა შუშაკი ნაკრებში მივიდა, ეს ერთჯერადი რამ იყო, მაშინ ჩვენი ეროვნული გუნდი მართლაც გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა. ირლანდიასთან თამაშის შემდეგ კი ფედერაციას რამდენიმე თვე ჰქონდა, რათა ნაკრებში ახალი მწვრთნელი მიეწვია. თანაც ფედერაციას ირლანდიასთან და ალბანეთთან მატჩების შუალედში ჩვენთვის ამის თაობაზე ერთხელაც არ მოუმართავს, მაგრამ რომც მოემართა, მაინც იგივე პოზიციაზე ვიქნებოდით.

**— „დინამოს“ დავუბრუნდეთ. როცა შარშაწინ პოლიციამ კლუბი ახალ პატრონს ჩააბარა, ითქვა, რომ „დინამოს“ ახალი მფლობელი ვალდებულია წელიწადში, სულ მცირე, ხუთი მილიონი დოლარი დაახარჯოს გუნდს. თქვენი სამომავლო გეგმები ითვალისწინებს კლუბის ბიუჯეტის ზრდას?**

— არ ვიცი, მაშინ ვინ რა თქვა. ისე კი, „დინამო“ ფინანსური და ადამიანური რესურსებით საქართველოში ყველაზე წელგამართული კლუბია. ახლა ჩვენთვის უმთავრესია, რომ ფინანსურ და წმინდა სპორტულ მხარეებს შორის ზუსტი ბალანსი იყოს, არ იყოს მათ შორის შეუსაბამობა. ასეთ ბალანსს აუცილებლად მივაღწევთ.

**— საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, რუსეთის და უკრაინის საფეხბურთო კლუბებში დიდი ინვესტიციები იდება, თუმც ამონაგებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ — საფეხბურთო გუნდი ზოგი მსხვილი ბიზნესმენისთვის თავისებური სამკაულია, ფულის მომტანი საწარმო კი ნაკლებად. რა არის „დინამო“ ბადრი პატარკაციშვილისთვის?**

— ალბათ, ორივე ერთად. თუმც „დინამოს“ წინსვლა თვალსაჩინო უნდა გახდეს, სამკაული კი ლამაზი უნდა იყოს. სამ წელიწადში „დინამო“ ალბათ რენტაბელური კლუბი იქნება.

**— „დინამო“ პროფესიული ლიგის წევრი ჯერაც არაა — რატომ?**

— იმიტომ, რომ პროფლიგაში შესვლა კლუბისთვის ჯერ არახელსაყრელია ფინანსურად და იურიდიულადაც, რადგან პროფლიგა ნაჩქარევად შეიქმნა და მისი წესდება გაუმართავია. როგორ შეიძლება, ფიზიკური პირი პროფლიგის წევრი იყოს? ერთი სიტყვით, ახალშექმნილ პროფლიგაში ბევრი რამ ბუნდოვანია, არც ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურა შეცვლილა. ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობისთვის კლუბს უეფაში 200 ფრანკი შეაქვს, ჩვენს ჩემპიონატში კი კლუბი კვლავაც ძველებურად საკმაო ფულს იხდის. მოკლედ, პროფლიგასთან მიმართებაში ჩვენი პოზიცია მკაცრია, მაგრამ კონსტრუქციული.

**დავით თავართქილაძე**

# ბრაზილიური წვნიანის თბილისელი გურმანი

## დევდარიანის კომპასი სამხრეთზე გაჩერდა

*მე-15 ეროვნულმა ჩემპიონატმა ქართულ ფეხბურთს ერთი ნიჭიერი მწვრთნელი აჩუქა – 30 წლის გიორგი დევდარიანი ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია უმაღლეს ლიგაში – მონდომებული, უხმაურო და, რაც მთავარია, საქმის მცოდნე კაცი. გიორგი დევდარიანზე დაახლოებით თვენახევრის წინ ბევრსაც ვერაფერს გეტყოდით, ახლა კი... 8 თამაშში ოთხი მოგება, სამი ფრე და ერთი წაგება (სადებიუტო მატჩში ქუთაისის „ტორპედოსთან") – ასეთია მისი „თბილისური" მონაგარი.*

*„თბილისის" თავკაცად მერვე ტურში დანიშნული დევდარიანი ზუსტად რვა მატჩის თავზე „სარბიელმა" ტურის საუკეთესო მწვრთნელადაც ცნო.*

*გიორგისთან საუბარი გუშინწინდელი „თბილის" – „ლოკომოტივის" მატჩით დავიწყეთ...*



— „ლოკომოტივი" კარგი, მებრძოლი გუნდია. ეს თამაშმაც აჩვენა. არ მინდა, რომელიმე გუნდი დავაკნინო, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენი სისუსტეები სწორედ „ლოკომოტივთან" გამოჩნდა. სხვასთან ეს უფრო შენიღბული და შეუმჩნეველი იყო. ახლა ვიცით, რა გვიჭირს, რა უნდა გამოვასწოროთ. ამ ხარვეზების აღმოფხვრა დროის საკითხია. ერთი სიტყვით, მატჩით მაინც კმაყოფილი წავრჩი. ვფიქრობ, გულშემატკივრისთვისაც არ იყო უინტერესო თამაში.

**— „ლოკომოტივთან" გამარჯვებით ექვსეულისკენ მოზრდილ ნაბიჯს გადადგამდით. მთავარ კონკურენტ რკინიგზელებსაც ჩამოიტოვებდით და მით უმეტეს, დანარჩენებსაც. როგორ ფიქრობთ, ორი ქულა თქვენ დაკარგეთ თუ „ლოკომოტივმა"?**

— ამის თქმა ორივე გუნდს შეუძლია. ისეთი თამაში იყო, მოგება ორივესთვის რეალური ჩანდა. ჩვენ სამი ქულა დავისახეთ მიზნად და თუ აქედან შევხედავთ შედეგს, მაშინ ჩვენ დავკარგეთ ქულები. პირველ ტაიმში საგოლე მომენტები რომ გამოგვეყენებინა, თამაში სხვანაირად წარიმართებოდა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს — იგივეს თქმა ხომ მეტოქესაც შეუძლია. ისე კი, მეორე ტაიმში ჩემს ფეხბურთელებს უფრო დაეტყოთ დაღლა. მინდორიც კარგი იყო და ბურთი სწრაფად გორავდა, რამაც ბიჭებს ბევრი ენერგია წაართვა.

**— ცოტა უკან დავბრუნდეთ. „თბილისის" მწვრთნელად მერვე ტურში დაგნიშნეს. მანამდე გუნდი წარუმატებლად თამაშობდა და უცებ ყველაფერი შეიცვალა...**

— ზებუნებრივი და არაადამიანური არაფერი გამიკეთებია. მადლობელი ვარ კლუბის ხელმძღვანელობის, რომ ასეთი შანსი მომცა. აბა, 30 წლის კაცს ასე იოლად სად ენდობიან?! მე გამიმართლა. თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, რამდენი უნარიანი ახალგაზრდა მწვრთნელის მოძებნა შეიძლება საქართველოში. ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, არიქა, გიორგი დევდარიანი უკვე იპოვეს. აქამდე ჯერ ბევრი მაქვს სამუშაო. უბრალოდ, სულ უნდა ვეძიოთ ისეთი ბიჭები, რომელთაც რაღაცის გაკეთება სურთ და შეუძლიათ. მით უმეტეს, რომ ასეთები არიან და მათ შანსი და გვერდით დგომა სჭირდებათ. უცხოეთში მწვრთნელებს ისევე ეძებენ, როგორც ფეხბურთელებს. ათასობით სელექციონერი და სპეციალისტი ჰყავთ. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.

**— „თბილისამდე" სად მუშაობდით?**

— 7 წელი ბავშვთა ფეხბურთში ვიყავი. მერე ნიკა დოლიძემ წამიყვანა „თბილისში" და დღემდე აქ ვმუშაობ. ძალიან კმაყოფილი ვარ. აქ ყველამ იცის, რას აკეთებს. ფეხბურთელებსაც ზრდიან და მწვრთნელებსაც მაქსიმალურად ეხმარებიან.

**— და ბავშვთა ფეხბურთიდან დიდ ფეხბურთში მისულს არ გაგიჭირდათ?**

— ისეთი კაცი ვარ, რომ საშუალოზე გაჩერება არ მიყვარს. თუ საქმეს აკეთებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო. ერთგულად და გულით გაკეთებული არ დაგეკარგება, ყველაფერი გამოვა. ბანალური ნათქვამია, მაგრამ ამქვეყნად შეუძლებელი ხომ არაფერია. რითაა იტალიელი მწვრთნელი ქართველზე მაგარი? რა, ქართველებს ფეხბურთი არ გვესმის თუ ნიჭი არ გვაქვს? უბრალოდ, საქმისადმი სწორად მიდგომა უნდა ვისწავლოთ. უნდა ვიცოდეთ, როგორ მივაღწიოთ წარმატებას. ამას კი ბევრი სწავლა და მუშაობა სჭირდება. მათ ეს იციან და აკეთებენ კიდეც. ბავშვთა ფეხბურთი, ცხადია, განსხვავდება დიდი ფეხბურთისგან, მაგრამ ჩემი პლუსი ისაა, რომ სწავლა არ შემიწყვეტია. კლუბი ყველანაირად მეხმარება ახალი ლიტერატურის მიღებაში, გერმანიიდან სპეციალური სამწვრთნელო პროგრამები ჩამოაქვთ. ლიცენზირებაც გავიარე. სანამ აქ მოვიდოდი, თეთრი არ მიმიტანია ოჯახში. ახლა ხელფასი დამინიშნეს და უკვე ესეც მიხარია. სამი შვილის მამა ვარ და შრომით მოპოვებული ფული ყველაზე ალალად შესარგებია.

**— მაინც საინტერესოა, „თბილისში" ასე უცებ რა შეცვალეთ. როგორ მოახერხეთ გუნდის გარდასახვა?**

— მანამდე ხომ ისედაც გუნდში ვიყავი და ბიჭებთან ურთიერთობა მქონდა. ვიცოდი, რა სტკიოდათ და რა უხაროდათ. ამან, ცხადია, ხელი შემიწყო. უცხო გარემოში არ მოვხვედრილვარ. უბრალოდ, პასუხისმგებლობა მომემატა. ფეხბურთელების ავანჩავანი ვიცოდი, ყოველდღე ერთად ვიყავით. მეც ხომ რობოტი არა ვარ. მათ იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ ურთიერთობა. თან შეიძლება შემთხვევით ერთი და ორი მატჩი მოიგო, მაგრამ როცა წარმატება გრძელდება, ჩემს მითითებებს შედეგი მოაქვს, ფეხბურთელი ამას ხედავს და უფრო მეტად მენდობა. მათ გაიგეს, რომ მე პირადული ურთიერთობის გამო არავის ვჩაგრავდი ან პირიქით. დისციპლინა, ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნა, დასჯა — ეს ყველაფერი მხოლოდ გუნდისთვის კეთდებოდა. ბიჭებმაც ჩემი ირწმუნეს და ყველაფერი თავისთავად გაგრძელდა. სხვაგვარად ასე უცებ გუნდის გაკეთება შეუძლებელია. ჯერ ჩვენც ძალიან ბევრი გვაქვს დასახვეწი.

**— „თბილისში" მთავარ მწვრთნელად დანიშნულს ხელმძღვანელობამ რა მიზანი დაგისახათ? რა ჩაითვლებოდა თქვენთვის წარუმატებლობად?**

— ამაზე ლაპარაკი რომ დაიწყო, ფიქრობდნენ, რომ მე მხოლოდ თამაშის ხარისხის გაუმჯობესება შემეძლო. საბედნიეროდ, ეს შედეგშიც აისახა. ასე რომ, რაიმე კონკრეტული არაფერი უთქვამთ. მთავარი იყო, გუნდს კარგი ფეხბურთი ეთამაშა.

**— თქვენი დანიშვნისთანავე გავრცელდა ხმები, რომ „თბილისს" დროებით უთავკაცებდით, მერე კი გელა გომელაური შეგცვლიდათ. ასეთი ჩანაფიქრი ახლაც არსებობს?**

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ხელმძღვანელობა როგორც ჩათვლის საჭიროდ, ისე იქნება. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ „თბილისს" დეკემბრამდე ჩავიბარებდი, ამიტომ ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით. ხელმძღვანელობამ უკეთ იცის, რა უნდა გააკეთოს. მე რომ ვაყენებ შემადგენლობას და ვიცი, ვინ როგორ უნდა ვათამაშო, ვინ ძირითადში იქნება და ვინ არა, ხომ არ მიშლიან ხელს? ასევეა ხელმძღვანელიც — გუნდი მისია და როგორც მოისურვებს, ისე გააკეთებს. მე იმისთვისაც მადლობელი ვარ, რომ ასეთი ნდობა გამომიცხადეს.

**— „თბილისი" შემტევ ფეხბურთს თამაშობს. ცხადია, ასეთი ფეხბურთის მოყვარული იქნებით...**

— ბავშვობიდან ბრაზილიის ნაკრების ქომაგი ვარ. შეიძლება ითქვას, ჩემი ოცნების გუნდი ბრაზილიაა. კლუბებიდან კი მადრიდის „რეალი" საუკეთესო მგონია. მიყვარს შემტევი გუნდები — როცა ვერ გაიგებ, ვინ საიდან გიტევს, ფეხბურთელები ხშირად იცვლიან პოზიციას და ყველაფერს სწრაფად აკეთებენ. ერთი სიტყვით, შემოქმედება და სილაღე ფეხბურთს ძალიან უხდება. სხვა გუნდებზე ცუდის თქმა არ მინდა, მაგრამ, ჩემი აზრით, გერმანული და იტალიური ფეხბურთი უფრო მშრალია. აქ შედეგებს არ ვგულისხმობ, თორემ მათ რომ წარმატებები აქვთ, ბევრი ვერ დაიტრაბახებს. უბრალოდ, სამხრეთული ფეხბურთი მიზიდავს.

**— საყვარელი ფეხბურთელიც გეყოლებათ...**

— ერთის გამორჩევა მიჭირს, მაგრამ, ვფიქრობ, მარადონა საუკეთესოა. მით უმეტეს, პელეს თამაშს არ მოვსწრებივარ. ისე, ახლაც არანაკლები ფეხბურთელები არიან — ზიდანი, რონალდო, რაული...

**— რა არის მწვრთნელ გიორგი დევდარიანის ოცნება?**

— ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა. აქამდე გუნდის დასახელება მიჭირდა, მაგრამ ახლა თამამად შემიძლია გავამხილო, მინდა, „თბილისმა" ჩემი თავკაცობით ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს. არ ვხუმრობ, ამას სერიოზულად ვამბობ. და კიდევ, ოცნების მწვერვალი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა და წარმატებების მიღწევაა. ნაკრები ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ამაზე ფიქრი ჯერ კიდევ მაშინ დავიწყე, როცა ჩემს მწვრთნელობაზე ლაპარაკიც ნაადრევი იყო.

**ქახა ზალამბერიძე**

# მსაჯის ცემა 100 ლარად

## მსურველები დაგვიკავშირდით

**გუშინ** ჩიხში მოექცნენ სადისციპლინო კომიტეტის წევრები. დისციპლინარებმა ორი კვირის წინ გამართულ სხდომაზე ჭაბუკთა ლიგაში მოთამაშე „სპარტაკის" ფეხბურთელი, ვინმე თომა ჩხიკვაძე მსაჯის გინებისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

გუშინდელ სხდომაზე კი ახალგაზრდა ფეხბურთელს ბევრი ქომაგი გამოუჩნდა — იმ მატჩის თვითმხილველები ამტკიცებენ, ჩხიკვაძეს საერთოდ არ უთამაშია და მსაჯს როგორ აგინებდაო. თავად ფეხბურთელიც ამბობს, არ გავსულვარ იმ დღეს მოედანზე და რადგან ასე მომექცნენ, პროტესტის ნიშნად გუნდს ვტოვებო.

მოკლედ, გაურკვეველი სიტუაციის წინაშე აღმოჩნდნენ გუშინ დისციპლინარები. ფაქტი ერთია, სპარტაკელებმა ან განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელი ათამაშეს ჩხიკვაძის გვარით, ანაც მაგინებელი ფეხბურთელის მომკითხავ მსაჯებს მატჩის შემდეგ რეალური დამნაშავის ნაცვლად ჩხიკვაძის სამონაწილეო ბარათი შეაჩეჩეს ხელში. ფაქტი კი ერთია, დარღვევა მოხდა და მას საფუძვლიანი გამოძიება სჭირდება. ეს მოსაზრება აქვთ დისციპლინარებს და ამიტომაც საკითხის შესწავლა და მომავალ სხდომაზე განხილვა გადაწყვიტეს.

დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა 27 ოქტომბრის ბოლნისურ მატჩს. „სიონმა" ფრედ ითამაშა „თბილისთან". მასპინძლები ორჯერ ითხოვდნენ პენალტს გორელი ზურაბ ანიაშვილისგან, თუმც არბიტრმა უყურადღებოდ დატოვა მათი მოთხოვნა და ნამატჩევს დიდ წნეხშიც მოხვდა. გასახდელში მიმავალ ანიაშვილს „სიონის" მწვრთნელი ოთარ გაბელია გადაუდგა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენაო, წერია მსაჯ-ინსპექტორთა ოქმებში. ოფიციალურ პატაკში მსაჯებს ესეც აქვთ დაფიქსირებული — თამაშის შემდეგ სამსაჯო ოთახში ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე შემოვიდა და შავი დღე გვაყარაო. დისციპლინარებმაც იმსჯელეს, მიუხედავად იმისა, რომ ჯაფარიძე, ფაქტობრივად, კლუბის მეპატრონეა, ოფიციალური, იურიდიული შეხება „სიონთან" არა აქვს, ამიტომ მისი საქციელი გულშემატკივრის ზღვარგადასულ მოქმედებას ჰგავს და რადგან პოლიციამ მსაჯები ქომაგის რისხვისგან ვერ დაიცვა, კლუბი 1000 ლარით დავაჯარიმოთო. თქვეს და ასეც მოიქცნენ, თანაც მსაჯთა მომკითხავ ოთარ გაბელიას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

ფაქტობრივად გაილახა არბიტრი მერაბ მალაღურაძე ბოლო ტურის „ვიტ ჯორჯია" — „დინამოს" მატჩისას. პროფლიგელები საგანგებოდ ჩაუსხდნენ ამ თამაშის ვიდეოფირს, სადაც ნათლად ჩანს, რომ მალაღურაძეს დინამოელი ანჩაბაძე აქცევს და წაქცეულს ერთი-ორი დინამოური წიხლიც ხვდება.

როგორც ჩანს, ამ საკითხის გარჩევისას დისციპლინარები გადაღლილნი იყვნენ, რაკილა მხოლოდ ორმატჩიანი და 100-ლარიანი ჯარიმა აკმარეს ანჩაბაძეს. ამის გარდა ჩემპიონს სასტიკი საყვედურიც გამოუცხადეს, რითაც უკმაყოფილო დარჩა გუშინდელ სხდომაზე მიწვეული „დინამოს" წარმომადგენელი კახა ჭუმბურიძე.

**პაატა ძვანტალიანი**



დასჯილი გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 064 | ჰამბურგი-მიუნხენი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 065 | ბოხუმი-კიოლნი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.30 | 066 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 067 | ჰანზა-კაისერსლაუტერნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 068 | ჰანოვერი-ვერდერი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 18.30 | 069 | აინტრახტი-შტუტგარტი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 18.30 | 070 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 071 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 20.30 | 072 | ლევერკუზენი-შალკე | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **იტალია. სერია A. IX ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 110 | სამპდორია-ემპოლი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.30 | 111 | ბრეშა-ბოლონია | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 112 | ინტერი-ანკონა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 113 | ინტერი-ანკონა | 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,6 | | |
| 18.00 | 114 | იუვენტუსი-უდინეზე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 115 | იუვენტუსი-უდინეზე | 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,7 | | |
| 18.00 | 116 | პარმა-მილანი | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 18.00 | 117 | პერუჯა-ლეჩე | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 18.00 | 118 | რეჯინა-მოდენა | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.00 | 119 | სიენა-კიევო | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.30 | 120 | რომა-ლაციო | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 00.30 | 161 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 22.30 | 162 | სარაგოსა-სელტა | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 22.30 | 163 | ბილბაო-ესპანიოლი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 164 | ალბასეტე-მალაგა | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 20.00 | 165 | ოსასუნა-ვალიადოლიდი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 20.00 | 166 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 167 | მალიორკა-მურსია | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 168 | ვალენსია-რასინგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 169 | ვალენსია-რასინგი 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,6 | | | |
| 22.00 | 170 | ბარსელონა-ბეტისი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 24.00 | 171 | სევილია-რეალი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 187 | ნიცა-ბასტია | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 188 | ლე მანი-მეცი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 189 | ნანტი-პსჟ | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 23.00 | 190 | რენი-ლილი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 191 | აიაჩო-მონაკო | 3,2 | 3,1 | 2,2 | 1,57 | 1,3 | 1,28 |
| 21.00 | 192 | ოსერი-გენგამი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 21.00 | 193 | ლანსი-მონპელიე | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 21.00 | 194 | სოშო-ტულუზი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 21.00 | 195 | სტრასბური-ბორდო | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 24.00 | 196 | მარსელი-ლიონი | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XI ტური** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 234 | ვიტესი-ტილბურგი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 235 | როდა-ტვენტე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.30 | 236 | პსვ-როსენდალი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 237 | პსვ-როსენდალი 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,6 | | | |
| 22.30 | 238 | ჰერენვენი-ზვოლე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 239 | ჰერენვენი-ზვოლე 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 22.30 | 240 | ბრედა-ალკმაარი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 241 | ვოლენდამი-ფეიენოორდი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 17.30 | 242 | ნაიმეგენი-გრონინგენი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 17.30 | 243 | უტრეხტი-ვალვაიკი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 17.30 | 244 | დენ ჰააგი-აიაქსი | 7,0 | 3,8 | 1,45 | 2,46 | 1,2 | 1,04 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XII ტური** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 258 | გენტი-გენკი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 259 | ვესტერლო-მუსკრონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.00 | 260 | ჰეუსდენი-ბეერსხოტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 261 | ლუვიე-ლოკერენი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 23.00 | 262 | ანტვერპენი-სერკლი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 263 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 264 | ბევერენი-მონსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 265 | ბრიუგე-შარლერუა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 266 | ბრიუგე-შარლერუა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 267 | ანდერლეხტი-სტანდარდი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა XVII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 281 | ბრეგენცი-პაშინგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 282 | მატერსბურგი-გრაცერი | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 18.30 | 283 | შტურმი-ადმირა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 284 | ავსტრია-ზალცბურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 285 | ავსტრია-ზალცბურგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.40 | 286 | კერნტენი-რაპიდი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **დანია. სუპერლიგა XVII ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 298 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 299 | ოლბორგი-ნორდსიელანდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.00 | 300 | ესბიერგი-ჰერფიოლგე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 301 | ესბიერგი-ჰერფიოლგე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 302 | ოდენსე-აკადემისკი | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| | 303 | ოდენსე-აკადემისკი 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 | | | |
| 18.00 | 304 | ვიბორგი-ფრემი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 20.35 | 305 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| | | **ნორვეგია. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **10 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 317 | სანდეფიორდი-ვოლერენგა | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 342 | ტრაბზონი-ბურსა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 343 | ტრაბზონი-ბურსა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 344 | ადანა-სებათი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 15.30 | 345 | კონია-სამსუნი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 22.00 | 346 | ფენერბაჰჩე-რიზე | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 347 | ფენერბაჰჩე-რიზე 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.00 | 348 | ელაზიგი-ისთანბული | 2,9 | 3,4 | 2,2 | 1,56 | 1,25 | 1,33 |
| 15.30 | 349 | დიარბაქირი-მალათია | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 15.30 | 350 | გაზიანთეფი-დენიზლი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 351 | გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში | 3,6 | 3,4 | 1,85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 352 | გალათასარაი-ანკარაგიუჯიუ | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 353 | გალათასარაი-ანკარაგიუჯიუ 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,6 | | | |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 376 | პუხოვი-სლოვანი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |
| 16.30 | 377 | რუჟომბეროკი-ჟილინა | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |
| 16.30 | 378 | ტრენჩინი-დუბნიცა | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| 16.30 | 379 | ინტერი-ბ.ბისტრიცა | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,19 | 1,25 | 1,64 |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 380 | ტრნავა-პეტრჟალკა | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| | | **ბრაზილია. სერია A. XXXXII ტური** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 02.30 | 447 | გოიასი-ატლეტიკო პრ | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 03.30 | 448 | ბაია-პონტე პრეტა | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 03.40 | 449 | გუარანი-სან კაეტანო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 03.40 | 450 | ფლამენგო-ატლეტიკო მნ | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | **ნორვეგია. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.15 | 587 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| | | **უეფას თასი. II ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 618 | სპარტაკი-დინამო(ბქ) | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.45 | 619 | გასიანთეფი-ლანსი | 2,35 | 3,1 | 3,0 | 1,33 | 1,31 | 1,52 |
| 20.00 | 620 | სლავია-ლევსკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 20.30 | 621 | დინამო(ს)-დნიპრო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 622 | შალკე-ბრიონდბიუ | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.30 | 623 | ბორდო-ჰარისი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 21.30 | 624 | უტრეხტი-ოსერი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 21.30 | 625 | ვოლერენგა-ვისლა | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 626 | გენჩლერბირლიგი-სპორტინგი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.00 | 627 | პანიონიოსი-ბარსელონა | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 23.00 | 628 | ვილიარეალი-ტორპედო | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.10 | 629 | სტიაუა-ლივერპული | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.15 | 630 | კოპენჰაგენი-მალიორკა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.15 | 631 | პაოკ-დებრეცენი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2.6 |
| 23.30 | 632 | დორტმუნდი-სოშო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.30 | 633 | ბაზელი-ნიუკასლი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.30 | 634 | ზალცბურგი-პარმა | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 23.45 | 635 | ფეიენოორდი-ტეპლიცე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 636 | პერუჯა-არისი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 24.00 | 637 | რომა-ჰაიდუკი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 24.00 | 638 | სიტი-გროცლინი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 01.00 | 639 | ბენფიკა-მოლდე | 1,3 | 4,6 | 9.0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 01.00 | 640 | ვალენსია-მაკაბი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3.72 |
| | | **ჰოკეი. ევროტური (ფინეთი)** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1051 | ფინეთი-რუსეთი | 1,85 | 4,4 | 2,7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| 22.00 | 1052 | შვედეთი-ჩეხეთი | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1,32 | 1,09 | 1,63 |
| | | **რაგბი. მსოფლიოს თასი** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 11.30 | 1201 | ახალი ზელანდია-ს.აფრიკა | 1,12 | 20,0 | 5,3 | 1,06 | 1 | 4.18 |
| | 1202 | ახალი ზელანდია-ს.აფრიკა | 0:17 | 1,85 | 14,0 | 1,85 | | |
| 14.00 | 1203 | ავსტრალია-შოტლანდია | 1,01 | 30,0 | 12,5 | 1 | 1 | 8,82 |
| | 1204 | ავსტრალია-შოტლანდია | 0:34 | 1,85 | 14,0 | 1,85 | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 11.30 | 1205 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,25 | 20,0 | 3,8 | 1,17 | 1 | 3.19 |
| | 1206 | საფრანგეთი-ირლანდია | 0:10 | 1,85 | 14,0 | 1.85 | | |
| 14.00 | 1207 | ინგლისი-უელსი | 1,01 | 30,0 | 12,5 | 1 | 1 | 8,82 |
| | 1208 | ინგლისი-უელსი | 0:33 | 1,85 | 30,0 | 1,85 | | |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

**III ეტაპი, VIII ტური**

სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------------

---------------------------------------------

**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 07.11.03**

შტამპის | ადგილი

**III ეტაპი, VIII ტური**
ჩაბარების ბოლო ვადაა 07.11.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------------

---------------------------------------------

მისამართი---------------------------------------

---------------------------------------------

---------------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონი ---------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 19.00 | 08.11 | ჩარლტონი - ფულჰემი | |
| 19.00 | 08.11 | პორტსმუტი - ლიდსი | |
| 18.30 | 08.11 | ჰანზა - კაიზერი | |
| 18.30 | 08.11 | ჰერტა - გლადბახი | |
| 18.30 | 08.11 | ფრაიბურგი - ვოლფსბურგი | |
| 19.00 | 08.11 | ნიცა - ბასტია | |
| 21.00 | 08.11 | სამპდორია - ემპოლი | |
| 22.30 | 08.11 | როდა - ტვენტე | |

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 19.00 | 08.11 | ჩარლტონი - ფულჰემი | |
| 19.00 | 08.11 | პორტსმუტი - ლიდსი | |
| 18.30 | 08.11 | ჰანზა - კაიზერი | |
| 18.30 | 08.11 | ჰერტა - გლადბახი | |
| 18.30 | 08.11 | ფრაიბურგი - ვოლფსბურგი | |
| 19.00 | 08.11 | ნიცა - ბასტია | |
| 21.00 | 08.11 | სამპდორია - ემპოლი | |
| 22.30 | 08.11 | როდა - ტვენტე | |

**III ეტაპი, VIII ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 19.00 | 08.11 | ჩარლტონი - ფულჰემი | |
| 19.00 | 08.11 | პორტსმუტი - ლიდსი | |
| 18.30 | 08.11 | ჰანზა - კაიზერი | |
| 18.30 | 08.11 | ჰერტა - გლადბახი | |
| 18.30 | 08.11 | ფრაიბურგი - ვოლფსბურგი | |
| 19.00 | 08.11 | ნიცა - ბასტია | |
| 21.00 | 08.11 | სამპდორია - ემპოლი | |
| 22.30 | 08.11 | როდა - ტვენტე | |

**III ეტაპი, VIII ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 19.00 | 08.11 | ჩარლტონი - ფულჰემი | |
| 19.00 | 08.11 | პორტსმუტი - ლიდსი | |
| 18.30 | 08.11 | ჰანზა - კაიზერი | |
| 18.30 | 08.11 | ჰერტა - გლადბახი | |
| 18.30 | 08.11 | ფრაიბურგი - ვოლფსბურგი | |
| 19.00 | 08.11 | ნიცა - ბასტია | |
| 21.00 | 08.11 | სამპდორია - ემპოლი | |
| 22.30 | 08.11 | როდა - ტვენტე | |

**III ეტაპი, IX ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 20.05 | 09.11 | ჩელსი - ნიუკასლი | |
| 23.30 | 09.11 | რომა - ლაციო | |
| 18.00 | 09.11 | ინტერი - ანკონა | |
| 18.00 | 09.11 | რეჯინა - მოდენა | |
| 20.00 | 09.11 | აბერდინი - ჰართსი | |
| 19.00 | 09.11 | ოსასუნა - ვალიადოლიდი | |
| 19.00 | 09.11 | სევილია - რეალი | |
| 19.00 | 09.11 | სარაგოსა - სელტა | |

**III ეტაპი, IX ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|
| 20.05 | 09.11 | ჩელსი - ნიუკასლი | |
| 23.30 | 09.11 | რომა - ლაციო | |
| 18.00 | 09.11 | ინტერი - ანკონა | |
| 18.00 | 09.11 | რეჯინა - მოდენა | |
| 20.00 | 09.11 | აბერდინი - ჰართსი | |
| 19.00 | 09.11 | ოსასუნა - ვალიადოლიდი | |
| 19.00 | 09.11 | სევილია - რეალი | |
| 19.00 | 09.11 | სარაგოსა - სელტა | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 8 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 8 ნოემბერს)

## მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ვეშაპიძე გია შოთას ძე(მცხეთა) | 275(31-33-31-23-28-42-39-39-44-47-28-20) |
| 2 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე(ვანის რ-ნ ს.მთისძირი) | 262(34-50-31-34-21-36-37-37-31-31-34-28) |
| 3 | ულენტი დიმიტრი გიორგის ძე(თბილისი) | 260(34-38-36-21-15-33-29-36-44-28-39-21) |
| 4-6 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე(თბილისი) | 255(31-41-26-26-26-39-31-34-41-36-31-33) |
| 4-6 | ჟვანია სანდრო ბესოს ძე(თბილისი) | 255(23-45-23-21-18-28-42-36-38-29-37-20) |
| 4-6 | წიკლაური მაია ინგურის ას(თბილისი) | 255(18-44-31-28-26-25-33-34-41-36-36-26) |
| 7 | თორდია ვალერიან ვალერიანის ძე(თბილისი) | 253(31-47-31-31-26-31-26-36-33-44-28-15) |
| 8 | სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე(თბილისი) | 252(26-28-39-16-26-31-50-28-30-36-28-33) |
| 9 | მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე(თბილისი) | 251(25-41-21-18-28-26-38-39-45-34-24-23) |
| 10-12 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე(ქუთაისი) | 249(36-33-31-26-31-26-29-41-39-36-29-33) |
| 10-12 | მელინკაური ლევან ვალერიანის ძე(თბილისი) | 249(31-41-39-13-26-28-31-45-31-31-31-20) |
| 10-12 | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე(თბილისი) | 249(42-39-26-29-13-41-31-36-28-23-31-26) |
| 13 | სირაძე ტარიელ ვაჟას ძე(თბილისი) | 248(42-41-26-32-18-36-31-28-38-25-26-26) |
| 14-16 | გორელაშვილი დავით გურამის ძე(თბილისი) | 247(23-35-36-34-31-31-34-36-41-30-25-20) |
| 14-16 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე(თბილისი) | 247(31-33-34-31-18-36-36-36-31-33-39-31) |
| 14-16 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე(მცხეთა) | 247(23-44-34-16-21-31-29-34-36-28-39-23) |
| 17 | კვირიკაშვილი პაატა ვასილის ძე(თბილისი) | 244(29-39-39-21-15-35-28-29-33-35-34-18) |
| 18 | კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე(თბილისი) | 241(26-36-28-28-26-34-39-36-35-30-31-5) |
| 19 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე(თბილისი) | 240(36-33-31-23-23-42-25-42-28-28-28-20) |
| 20-21 | არჩვაძე გოჩა ნოდარის ძე(თბილისი) | 239(28-44-31-34-23-25-18-36-41-25-23-20) |
| 20-21 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე(თბილისი) | 239(20-42-28-19-20-25-36-33-33-31-36-20) |
| 22-24 | მეზურნიშვილი დავით გივის ძე(თბილისი) | 238(23-28-23-23-18-26-36-31-45-39-31-28) |
| 22-24 | ფაცია გიორგი მურმანის ძე(თბილისი) | 238(39-38-34-18-18-28-28-33-36-30-25-23) |
| 22-24 | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე(თბილისი) | 238(31-38-28-31-23-36-39-34-28-29-28-26) |
| 25-28 | ავლოხაშვილი ავთანდილ ანტონის ძე(თბილისი) | 236(13-23-16-16-21-36-37-39-26-36-39-16) |
| 25-28 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე(თბილისი) | 236(34-41-25-29-25-36-34-29-31-31-0-0) |
| 25-28 | ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე(თბილისი) | 236(39-31-26-26-26-28-28-30-44-36-20-13) |
| 25-28 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე(თბილისი) | 236(18-33-31-16-26-36-33-31-36-36-31-15) |

**შედეგების გაპროტესტება შეიძლება 11 ნოემბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული (გარდა პარასკევისა და კვირისა)**

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37.
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4"
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"
9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 თაბხი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

## III ეტაპის I ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1-2 | ლეჟავა მალხაზ ოთარის ძე | 47 |
| 1-2 | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | 47 |
| 3 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 46 |
| 4-7 | ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე | 44 |
| 4-7 | ქუჯაიძე თემო პლატონის ძე | 44 |
| 4-7 | ცუცქირიძე თამაზ გოჩას ძე | 44 |
| 4-7 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე | 44 |
| 8-9 | ულენტი დიმიტრი გიორგის ძე | 42 |
| 8-9 | ნულაია თამთა აკაკის ას | 42 |
| 10-12 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 41 |
| 10-12 | გოგნაძე ჯაბა ბადრის ძე | 41 |
| 10-12 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 41 |
| 13-16 | მჭედლიშვილი ილია კობას ძე | 39 |
| 13-16 | ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე | 39 |
| 13-16 | სვანიძე რეზო ვიაჩესლავის ძე | 39 |
| 13-16 | წიკლაური მაია ინგურის ას | 39 |
| 17-18 | ასრიაშვილი დავით გიას ძე | 38 |
| 17-18 | კაკაბაძე არჩილ ბიძინას ძე | 38 |
| 19 | გიორგაძე ოთო კობას ძე | 37 |
| 20-31 | ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე | 36 |
| 20-31 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 36 |
| 20-31 | გვინჩიძე გურამ ვალერის ძე | 36 |
| 20-31 | დარბაისელი მიხეილ გურამის ძე | 36 |
| 20-31 | თორდია ვალერიან ვალერიანის ძე | 36 |
| 20-31 | კერესელიძე იური პეტრეს ძე | 36 |
| 20-31 | მელინკაური ლევან ვალერიანის ძე | 36 |
| 20-31 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე | 36 |
| 20-31 | ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე | 36 |
| 20-31 | შენგელია რევაზ შოთას ძე | 36 |
| 20-31 | ჭანტურია სოსო კობას ძე | 36 |
| 20-31 | ჯაფარიძე არჩილ ბიძინას ძე | 36 |

## III ეტაპის II ტურის წინასწარი შედეგები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქ. |
|---|---|---|
| 1-2 | სულაშვილი ვაჟა თედოს ძე | 36 |
| 1-2 | ციცვიძე იური ვლადიმერის ძე | 36 |
| 3 | ჭიჭინაძე გოჩა ოთარის ძე | 35 |
| 4 | მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე | 34 |
| 5-8 | დანელია მამუკა მიხეილის ძე | 33 |
| 5-8 | ულენტი დიმიტრი გიორგის ძე | 33 |
| 5-8 | სანიკიძე დავით შოთას ძე | 33 |
| 5-8 | წიკლაური მაია ინგურის ას | 33 |
| 9-14 | ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე | 31 |
| 9-14 | გულუა კახაბერ არველოდის ძე | 31 |
| 9-14 | ვერმიშევი სიმონ გრიგოლის ძე | 31 |
| 9-14 | მეზურნიშვილი დავით გივის ძე | 31 |
| 9-14 | რურუა ჟიულენ ჟანის ძე | 31 |
| 9-14 | ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე | 31 |
| 15-16 | ორმოცაძე ზაზა ვლადიმერის ძე | 30 |
| 15-16 | ხუროშვილი გიორგი გელას ძე | 30 |
| 17-31 | ასრიაშვილი დავით გიას ძე | 28 |
| 17-31 | ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე | 28 |
| 17-31 | გვინჩიძე გურამ ვალერის ძე | 28 |
| 17-31 | გოგლიძე ჯემალ კონსტანტინეს ძე | 28 |
| 17-31 | გორელაშვილი დავით გურამის ძე | 28 |
| 17-31 | ვეშაპიძე გია შოთას ძე | 28 |
| 17-31 | კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე | 28 |
| 17-31 | ლოლაშვილი პეტრე ყაზბეგის ძე | 28 |
| 17-31 | ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე | 28 |
| 17-31 | ოსიაშვილი ამირან ილიას ძე | 28 |
| 17-31 | სამხარაძე ვეფხვია შოთას ძე | 28 |
| 17-31 | სვანიძე რეზო ვიაჩესლავის ძე | 28 |
| 17-31 | ჩანქსელიანი დავით ბორისის ძე | 28 |
| 17-31 | ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე | 28 |
| 17-31 | ჯორბენაძე სერგი სანდოს ძე | 28 |

## კვირის კალენდარი

3 ნოემბერი - გაზეთი „ახალი ვერსია", მესამე ეტაპის მეშვიდე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი), მეორე ეტაპის მეთერთმეტე და მეთორმეტე ტურის წინასწარი შედეგები,კონკურსის დებულება.

4 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მერვე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი)

4 ნოემბერი - ჟურნალი „ულტრა", მესამე ეტაპის მეცხრე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი), მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

5 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის ძეათე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი), მესამე ეტაპის პირველი და მეორე ტურის წინასწარი შედეგები, მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

6 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მერვე ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (8 ნოემბერი), მესამე ეტაპის პირველი და მეორე ტურის წინასწარი შედეგები, მეორე ეტაპის წინასწარი შედეგები.

7 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მეათე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ (9 ნოემბერი)

8 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (15 ნოემბერი), მესამე ეტაპის მე-3 და მე-4 ტურის წინასწარი შედეგები, კვირის კალენდარი კონკურსის დებულება

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ამერიკამ ძეცდომილს კარი მიუჯახუნა

— 3 ნოემბერი —

**ინდიანა 71:60 დენვერი**
**ინდიანა:** ანდერსონი (4), რ. მილერი (8), არტესტი (18), ფოსტერი, ონილი (25 ქულა, 20 მოხსნა); ჯონსონი (5), ჰარინგტონი (11), ჯონსი, პოლარდი, კროშერი
**დენვერი:** ა. მილერი (8), ლენარდი, ენტონი (2), ილარიო (3), კემბი (2); ბოიკინსი (18), ბერი (4), ვაიტი (14); ანდერსენი (3), ელსონი (2), ბოუენი (4)
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ნიუ ჯერსი 75:86 ჰიუსტონი**
**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (21), კიდი (16 ქულა, 9 პასი)
**ჰიუსტონი:** ბობლი (20), ფრენსისი (17)

**მილუოკი 107:113 ლეიკერსი**
**მილუოკი:** რედი (36), ტომასი (16)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31), ონილი (23)

**სან ანტონიო 80:73 მაიამი**
**სან ანტონიო:** ჯინობილი (15), როუზი (14)
**მაიამი:** ჯონსი (26), ოდომი (14)

3 ნოემბრის დენვერული „როკი მაუნთინი" წერდა, ნიკა ცქიტიშვილმა „ჰიუსტონთან" მატჩში მიღებული ტრავმის გამო იქნებ „ინდიანასთან" ვერ ითამაშოსო. ასეც მოხდა, „დენვერმა" ინდიანაპოლისში უქართველოდ ითამაშა და იქაურ „პეისერზთან" 60:71 დამარცხდა.

წინა სეზონში შერცხვენილმა „დენვერმა" ამ ჩემპიონატში უკვე მოასწრო ორი ბობოლის, „სან ანტონიოსა" და „საკრამენტოს" დამარცხება და „ინდიანასთან" წაგებისთვის ვინ დაძრახავს, დენვერელებს ის უფრო აღელვებთ, მათმა ახალბედა იმედმა კარმელო ენტონიმ ეს მატჩი რომ ჩააფლავა.

ენტონიმ „საკრამენტოსთან" დიდებულად ითამაშა, ინდიანურ კედელს კი ვერ გადაახტა. გაუვალმა რონ არტესტმა და მისმა დოსტმა ალ ჰარინგტონმა ექსსირაკუზელ ვუნდერბიჭუნას გასაქანი არ მისცეს. ყველამ დაინახა, რომ ენტონიმ ვერაფერი გააწყო მედგარი „ინდიანური" დაცვის წინააღმდეგ, მაგრამ ენტონიმ იხტიბარი არ გაიტეხა და თავი ასე იმართლა — „უბრალოდ, ცუდად ვესროდი და ინდიანელთა დაცვა აქ არაფერ შუაშია. ბურთს არ სურდა კალათში ჩასვლა და რა უნდა მექნა?"

მაგრამ რაღა ამ ბიჭუნას გამოვედევნეთ, როცა „დენვერის" სხვა დამწყებებმაც შეირცხვინეს თავი. „ნაგიტსის" პირველმა ხუთეულმა 15 ერთობლივი ქულა შეაკოწიწა, კოლორადულმა კლუბმა კი მთლიანობაში 60 ქულა მოაქუჩა. თქმაც არ უნდა, ვერაფერი შედეგია.

დაცვას გადაყვა „ინდიანაც" და არც მასპინძელთა 71 ქულას აღუფრთოვანებია საზოგადოება. თუმცა, გამარჯვებულებს ხომ არ ასამართლებენ. ინდიანელთაგან ყველაზე მეტად ჯერმენ ონილმა იყოჩაღა, დევშაკის მოგვარემ 25 ქულასთან ერთად 20 მოხსნაც მოიხვეჭა. მასპინძლებმა მეტოქე მესამე მეოთხედში გატეხეს, როცა ჯეფ ბზდელიკის სამწყსოს ოდენ 7 ქულა ჩააგდებინეს და ბოლო თორმეტწუთეულის წინ 19 ქულით დაწინაურდნენ.

გუშინწინდელი დღის მთავარი მატჩი მილუოკიში გაიმართა. „ხარირმებმა" დაკარგული ტიტულის დასაბრუნებლად მომართულ „ლეიკერსს" უმასპინძლეს და გვარიანი ბრძოლაც გაუმართეს. მილუოკელი მაყურებელი უხეშად შეხვდა შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარში მათთან მობურთალ გერი პეიტონს. მაგრამ პეიტონი აინუნშიც არ აგდებს ერთგულებას — სხვათა შორის ის 12 სეზონი ერთგულობდა „სიეტლს" — და სხვა სენტიმენტებს. ჩემპიონი მინდა გავხდე და საამისოდ ზედგამოჭრილი გუნდიც შევარჩიეო — აი, ამას ამბობს.

ამბობს და საქმესაც აკეთებს, აგერ 19 ქულით დატუქსა ყოფილი თანაგუნდელები, მაგრამ მილუოკელთა მთავარი დამაქცევარი სულ სხვა და მაყურებელთათვის არანაკლებ საძულველი კობი ბრაიანტი გახდა, რომელმაც ბოლო სამ წუთში 8 ქულა მიითვალა და „ხარირმებს" უკანასკნელ მომენტში გამოსტაცა გამარჯვება. კობი ვახსენეთ და ისიც ვთქვათ — სადაც ეს ვაჟბატონი გამოჩნდება, ყველგან სტვენასა და მრუდ შეძახილებს ისმენს ზაფხულში ჩადენილი ძალადობის გამო. ბრაიანტისთვის მხოლოდ მშობლიური „სტეიპლზ სენთერია" შემწყნარებელი, ლოს ანჯელესის გარეთ კი მას უკვე ხმამაღლა აგინებენ.

მოქმედი ჩემპიონი „სან ანტონიო" კი შეთხელებული შემადგენლობით დაუხვდა მიბნედილ „მაიამის" და ძლივს დაამარცხა. ტეხასელებს ორი მთავარმექულე აკლდათ. ტიმ დანკანმა წინა მატჩში იტკინა ფეხი, ტონი პარკერს კი ამ სეზონში ჯერაც არ უთამაშია. სანანტონიოელებს არ ჰყავდათ მთავარი დამრიგებელი გრეგ პოპოვიჩიც, წინა მატჩში მსაჯებთან ურჩობისთვის დისკვალიფიცირებული ცნობილი სპეციალისტი.

თამაშის ბედი არგენტინელმა ემანუელ ჯინობილიმ გადაწყვიტა, როცა საფინალო წუთებში ერთი ქულით მიახლოებულ მაიამელებს ბურთი მოჰპარა, რაშო ნესტეროვიჩს საორქულედ უპასა და სირენამდე 16 წამით ადრე თავადაც მიითვალა გამარჯვებისთვის საჭირო ქულები.

დღის ბოლო მატჩში პატარა სენსაცია გამოცხვა. შარშანდელმა ფინალისტმა „ნიუ ჯერსიმ" შინ საშუალო ძალის „ჰიუსტონთან" წაიფორხილა. ტეხასელებს გაუმართლა სტივ ფრენსისმა, რომელმაც რვავე საპირველტაიმო სროლა ააცილა, თუმც მეორეში თავი გამოიდო და ჰიუსტონელებს საამაყო გამარჯვება მოახვეჭინა.

**ირაკლი პერტაია**

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ბოსტონი | 2 | 1 | 66,7 |
| ფილადელფია | 2 | 2 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 2 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 1 | 2 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 1 | 2 | 33,3 |
| ორლანდო | 1 | 3 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 3 | 1 | 75,0 |
| ინდიანა | 3 | 1 | 75,0 |
| დეტროიტი | 2 | 1 | 66,7 |
| ტორონტო | 2 | 1 | 66,7 |
| მილუოკი | 2 | 2 | 50,0 |
| ატლანტა | 1 | 3 | 25,0 |
| ჩიკაგო | 1 | 3 | 25,0 |
| კლივლენდი | 0 | 3 | 0 |
| **დასავლეთ კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 3 | 1 | 75,0 |
| ჰიუსტონი | 3 | 1 | 75,0 |
| მემფისი | 2 | 1 | 66,7 |
| იუტა | 2 | 1 | 66,7 |
| სან ანტონიო | 3 | 2 | 60,0 |
| დენვერი | 2 | 2 | 50,0 |
| მინესოტა | 2 | 2 | 50,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 4 | 0 | 100 |
| სიეტლი | 2 | 0 | 100 |
| საკრამენტო | 2 | 1 | 66,7 |
| ფინიქსი | 1 | 2 | 33,3 |
| პორტლენდი | 1 | 2 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 2 | 33,3 |
| კლიპერსი | 0 | 2 | 0 |



AP მილიონაძე

კობი ბრაიანტს ყველგან უგულოდ ხვდებიან



# პირველად იყო ქალებთან

## ზაზა მაჩალაძე საქმეს შეუდგა

*ერთადერთმა ქართველმა საერთაშორისო რანგის არბიტრმა ზაზა მაჩალაძემ 27 ოქტომბერს ევროპული დებიუტი მოიწყო კურსკში, სადაც ქალთა ევროლიგის მატჩი განსაჯა იქაურ „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის. ქართველმა „კოლინამ" მეორე დღეს უკვე მოსკოვს მიაშურა და ანალოგიური ტურნირის კიდევ ერთ მატჩს გაუძღვა. დებიუტანტ მაჩალაძეს ქალთა შედარებით იოლად განსასჯელი მატჩები განზრახ შეურჩიეს, ადაპტაციისთვის, მომავალში კი გაცილებით საპასუხისმგებლო ვაჟთა მატჩებიც ელის...*

**— შენს ევროდებიუტზე რას გვეტყვი, ხომ არ ნერვიულობდი?**

— რა თქმა უნდა, ცოტას ვნერვიულობდი, შინაგანად დაძაბული ვიყავი. გაცილებით რთული მატჩებში მიმსაჯია და საკმაოდ დიდი აუდიტორიის წინაშეც, მაგრამ სულ სხვაა, როცა საზღვარგარეთ ხარ, თითქოს არა მარტო საკუთარ თავზე აგებ პასუხს, უკან მთელი შენი ქვეყანა გიდგას.

**— როგორ მიგიღო მაყურებელმა?**

— საკმაოდ თბილად. რომ გამოაცხადეს, მსაჯი საქართველოდანაო, ხალხმა განსაკუთრებული კეთილგანწყობა გამოხატა. მეორე მსაჯი ბელარუსი იყო, ფიოდორ დიმიტროვი.

**— კურსკის შემდეგ მოსკოვში გელოდნენ...**

— მოსკოვური მატჩში უფრო თავისუფლად, ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ვიმსაჯე. თანაც თამაში საინტერესო იყო და ესეც მაძლევდა სტიმულს.

**— მომავალი საერთაშორისო მატჩები როდისთვის გელის და ვაჟთა თამაშებს თუ იმსაჯებ?**

— ქალთა მატჩები იმიტომ შემირჩიეს, რომ პრაქტიკა მიმეღო. ჩანდა, მალე ვაჟთა თამაშებსაც მანდობდნენ და ასეც მოხდა. უკვე გადაწყვეტილია, რომ 10 და 11 ნოემბერს კაცთა ფიბა-ევროლიგის მატჩებს განვსჯი მოსკოვში, „ხიმკისა" და, აღარ მახსოვს, რომელიღაც სერბულ კლუბს შორის. თუმც არც ქალთა მატჩები მომაკლდება. 12 ნოემბერს ისევ კურსკში მომიწევს მსაჯობა.

**— ამდენს რომ მოგზაურობ, თანხას ფიბა გინაზღაურებს?**

— არა, მგზავრობის, დაბინავების, კვების თანხებს მასპინძელი გუნდი იხდის. მე კაპიკი არ მეხარჯება.

**— გამოდის, საქართველოს ჩემპიონატისთვის ძველებურად ვეღარ მოიცლი...**

— როცა საზღვარგარეთ ვიქნები, ცხადია, აქ ვერ ვიმსაჯებ. ისე კი, ქართული კლუბების მატჩების განსჯაში არასდროს დავიხევ უკან.

**— ცხადია, საერთაშორისო მატჩების გაძღოლა უფრო იოლი იქნება...**

— არა, რატომ? მნიშვნელობა არ აქვს. პასუხისმგებლობა ყველა მატჩში თანაბარია, გინდ საქართველოში მსაჯობდე, გინდაც ევროპაში.

**— პასუხისმგებლობაზე არ გეკითხები, მოთამაშეებთან ურთიერთობას ვგულისხმობ...**

— ეგ თავისთავად, ქართველებივით ფიცხ მოთამაშეებს ევროპაში იშვიათად შევხვდებით. თუმც ამ მხრივ ჩვენთანაც შედარებით გამოსწორდა სიტუაცია, კალათბურთელები უკვე შეგვეჩვივნენ და იმდენი აყალმაყალი აღარაა, როგორც დავუშვათ, 2-3 წლის წინ.

**— მხოლოდ საკლუბო მატჩებზე იმსაჯებ?**

— არა, მომავალში ნაკრებთა თამაშებზეც მიმავლენენ. ისე, ჭაბუკთა ნაკრებების მატჩებზე უკვე ვიმსაჯე სლოვაკეთში, სადაც ჩვენს გუნდს გავყევი. ფიბას ასეთი წესი აქვს, ყველა ნაკრებს თავისი არბიტრი უნდა ახლდეს, რომელმაც ტურნირის სხვა მონაწილეთა მატჩები უნდა განსაჯოს. საქართველოს ნაკრებები აქამდე უმსაჯოდ დადიოდნენ ყველგან, ამიერიდან მათი თანამგზავრი მე ვიქნები.

**— ამ მოგზაურობისას ვინმე ცნობილი თუ გაიცანი?**

— ქალთა ნბა-ში მოთამაშე რუსი ოლიმპიური ჩემპიონი ნატაშა ბარანოვა მოსკოვურ მატჩს დაესწრო და იქ გავიცანი. საკმაოდ მომხიბვლელი მანდილოსანია, ნამდვილი პროფესიონალი.

**ირაკლი პერტაია**

# მაკა ჩახნაშვილი გრძნობს, რომ შეუძლია და აპირებს

*უიღბლო გამოდგა წლევანდელი სეზონი საუკეთესო ქართველ ქალ ჩოგბურთელ მაკა ჩახნაშვილისთვის. ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციის კლასიფიკაციაში შარშან 245-ე ადგილამდე ასულმა წლეულს წარმატებას ვერც ერთ ტურნირზე მიაღწია და კვლავაც მეოთხე ასეულში დაეშვა. საბავშვო ასაკში აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონ და მოსკოვის ახალგაზრდული ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ მაკას უძლიერეს მეჩოგნეთა მარაქაში გასარევად ფიზიკური მომზადება აკლია*



— სეზონი 245-ე ნომრად დავიწყე. თხუთმეტამდე ტურნირზე ვითამაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, წარმატებას ერთზე მივაღწიე. ეს, ცხადია, კლასიფიკაციაზეც აისახა და გვარიანად ჩამოვვარდი. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ წლევანდელი წელი ჩავაგდე. ახლა მთავარია, უკეთ მოვემზადო, რათა დაკარგულიც ავინაზღაურო და უფრო წინაც წავიწიო.

**— ბოლო საერთაშორისო ტურნირი ოქტომბრის ბოლოს ითამაშე. წლის ბოლომდე თუ აპირებ სადმე გამგზავრებას?**

— ამჟამად ვისვენებ და ვარჯიშს 15 ნოემბრიდან გავაგრძელებ. საერთაშორისო შეჯიბრებაში კი ალბათ მომავალ წლამდე აღარ მივიღებ მონაწილეობას. ამ ხნის განმავლობაში ვეცდები, მაქსიმალურად კარგ ფორმაში ჩავდგე.

**— უშედეგობის მთავარ მიზეზად რას მიიჩნევ?**

— მიზეზი რომ ვიცოდე, აქამდე გამოვასწორებდი. ჩემს თამაშს ისეთი წუნიც არ ეტყობოდა, რომელზეც განსაკუთრებულად ღირდა ყურადღების გამახვილება. არც მძიმე ტრავმებს შევუწუხებივარ.

**— შენი ბოლო გამარჯვება შარშან ზაფხულს, ბულგარეთის 25-ათასიანი ტურნირის მოგება იყო.**

— სოფიაში მოპოვებული ჩემპიონობის შემდეგ მართალია, თავი ალარსად გამომიჩენია, მაგრამ ამ წარმატებაზე გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებ. საერთოდ ოპტიმისტი ვარ, ამ შემთხვევაში კი ნამდვილად მაქვს საფუძველი.

**— შენი აზრით, საუკეთესო ფორმაში როდის იყავი?**

— ასეთ პერიოდად შარშანდელი წლის მეორე ნახევარს მივიჩნევ, როდესაც კლასიფიკაციაში წინ თითქმის ორასი საფეხურით წავიწიე. წლევანდელ ზაფხულშიც მეგონა, კარგ შედეგს ვაჩვენებდი, მაგრამ მიზნის მიღწევაში გარკვეულწილად უიღბლობამაც შემიშალა ხელი. წლევანდელ ტურნირებზე პირველსავე წრეებში სწორედ იმ ჩოგბურთელებს ვხვდებოდი, რომლებიც შემდეგ მინიმუმ ფინალში აღწევდნენ.

**— სამომავლოდ ძირითადად რა ნაკლის გამოსასწორებლად აპირებ მუშაობას?**

— ჩემი მთავარი მინუსი ფიზიკური მომზადებაა. ეს თანამედროვე ჩოგბურთში აუცილებელი პირობაა. დიდ სპორტსმენებს რომ ეთამაშო, პირველ რიგში, გამძლეობაში არ უნდა დაიჩაგრო. ამაზე განსაკუთრებულ ყურადღებასვამახვილებ და უკვე სერიოზულადაც ვვარჯიშობ. ტექნიკაში კი, მგონი, გამოსასწორებელი ბევრი არაფერი მაქვს.

**— ცოტა ნერვიულიც ხომ არ ხარ?**

— ჩოგბურთში არის ხოლმე მომენტები, როცა ნერვებს აჰყვები და ბოლოს თავადვე რჩები წაგებული, მაგრამ ეს იშვითად მემართება. მსგავსი რამ თითქმის ყველა სპორტსმენს ახასიათებს. ასე რომ, ამ მხრივ, სხვებისგან გამორჩეული ნამდვილად არ ვარ.

**— საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებზე არასოდეს გაგიმარჯვია. ამას ყველაზე მეტად შარშან, ბულგარეთში გაჩემპიონების შემდეგ ველოდით. შინაური კედლები შენზე ზედმეტ ზეწოლას ხომ არ ახდენს?**

— საკუთარ ქვეყანაში გაცილებით ძნელია შედეგიანი თამაშის ჩვენება, მაგრამ ვცდილობ, ამაზე ყურადღება არ გავამახვილო. იმ ჩოგბურთელთა რიცხვს არ მივეკუთვნები, ვისთვისაც ეს ფაქტორი გადამწყვეტია. აუდიტორიის წინაშე თამაში ჩემთვის სასიამოვნოა, ქართველი იქნება იგი თუ უცხოელი. რაც შეეხება შედეგს, სამჯერ გავედი თბილისური ტურნირის ნახევარფინალში, თუმცა მეტის გაკეთება ჯერჯერობით ვერ შევძელი.

**— ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელი ქალი ხარ, რომელსაც სპონსორი ჰყავს...**

— უკვე წელიწადნახევარზე მეტია, „ქართუ ბანკი" მაფინანსებს. რომ არა სპონსორისა და ჩემი პირადი მწვრთნელის ლეილა მესხის გვერდში დგომა, შეიძლება აქამდე სპორტისთვის თავიც მიმენებებინა.

**— ბოლოს გულახდილად მიპასუხე, შეძლებს თუ ვერა მაკა ჩახნაშვილი დიდი ჩოგბურთის თამაშს და თუ შეძლებს, რამდენ ხანში?**

— თავის ქებაში არ ჩამომართვათ და ვგრძნობ, რომ მართლა მაქვს ამის პოტენცია, თუმცა მანამდე ბევრი შრომისა და დაბრკოლების დაძლევა მომიწევს. ჩემი უმთავრესი მიზანიც სწორედ ეგაა. იმედია, მომავალ წელს ასეულში შესვლას მოვახერხებ. ეს ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე შემდეგ იქ დამკვიდრება. ასეულში მყოფ ჩოგბურთელთა უმეტესობას ტურნირები საერთოდ არ მოუგია, მაგრამ სტაბილური თამაშით გამოირჩევიან. საუკეთესო მეჩოგნეთა დარი შეიძლება ვერასოდეს გავხდე, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რათა მათთან ბრძოლა შევძლო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მშვენიერო წამო, შეყოვნდი

## ბორის ბეკერი ორალურ სექსზე, საძილე აბებსა და ჩაკიდულზე

*ამ თვის ბოლოდან ბორის ბეკერის ქომაგებს მისი ავტობიოგრაფიის შეძენა შეეძლებათ. წიგნს ყოველდღიური გერმანული გაზეთი „ბილდი" გამოსცემს და მისი სათაური დაახლოებით ასე ითარგმნება — „წამო, შეყოვნდი."*

არავინ იცის, განვლილი ცხოვრებიდან ყველაზე მეტად რომელი წამის შეყოვნებას ინატრებდა 35 წლის დიადი გერმანელი მეჩოგნე. თუმცა, თუკი „ბილდისავე" მიერ გამოქვეყნებული ნაწყვეტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბორის ბეკერს მართლაც ბევრი წამი არ უნდა ავიწყდებოდეს.

ამათგან ხუთი მას, არც მეტი, არც ნაკლები, 12 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

ეს 1999 წელს, ლონდონში მოხდა, როცა უიმბლდონიდან გავარდნილი ბორისი დარდის ლუდში ჩასახრჩობად მეგობრებთან ერთად ერთ-ერთ რესტორანს ესტუმრა. სწორედ იქ ეწერა მას რუსალყირელ სექმოდელ, ვინმე ანჟელა ერმაკოვასთან წალლაბუცება, რამაც იგი პატარა გოგოცუნას მამა კი გახადა, მაგრამ იმავდროულად პირველ მეუღლეს, ბარბარა ფელტუსსა და მათ ორ ვაჟს დააშორა.

„სადღაც საღამოს თერთმეტი საათი იყო — იგონებს ბეკერი — მეგობრებთან ერთად ვიჯექი და ლუდით ვბაირამობდი, როცა ანჯელას მზერას გადავაწყდი. ეს ამბუვნებული ძუ ლომის მზერა იყო, რომელიც მეუბნებოდა — „მე შენ მინდიხარ". გამახსენდა, რომ ეს ქალი ორი კვირის წინ იქვე მენახა და მაშინაც ზუსტად ასევე დამშეული მიცქეროდა. ვიფიქრე, რომ ქმედებაზე უნდა გადავსულიყავი. ამ დროს მან კიდევ დამალივერა და საპირფარეშოში გავიდა. გავყევი. ერთი-ორი წუთი ვილაპარაკეთ და მერე გვერდზე, ბუფეტში შევედით. ხუთ წამზე მეტი ამბავი არ გაგრძელებულა. მაგრამ ეს ხუთი წამი საკმარისი გამოდგა, რათა მაგრად გავბითურებულიყავი."

„ამ ამბავზე მერე აღარც მიფიქრია. ჩოგბურთიდან წასვლას ვაპირებდი, ამის გამო დეპრესიაში ვიყავი და ოჯახს სათანადო ყურადღებას ველარ ვუთმობდი. მეუღლე ფეხმძიმედ იყო, ჩემს უყურადღებობას სხვანაირად ხსნიდა და ეჭვიანობდა. ხშირად ვჩხუბობდით და ძალზედ ცუდი პერიოდი გვქონდა."

„მომავალ თებერვალს მიუნხენში ფაქსი მივიღე: ძვირფასო ჰერ ბეკერ — ასე მწერდნენ — გაუწყებთ, რომ ჩვენი ლონდონური შეხვედრის ნაყოფი ახლა რვა თვისაა... ფაქსს ტელეფონის ნომერიც ახლდა. ჩვენ რამდენჯერმე ვისაუბრეთ, მერე კი ლონდონში ჩავფრინდი და შევხვდი. მან მკაფიოდ განმიმარტა, რომ თუკი მამობას არ ვიკისრებდი, მაგარ სკანდალში გამხვევდა. მიკ ჯაგერისა და მის მიერ გაჟიმული ბრაზილიელი მოდელის ამბები ახალი მომხდარი იყო და არავითარი სურვილი არ მქონდა, ასეთსავე ხათაბალაში მოვხვედრილიყავი."



ავტობიოგრაფიულ წიგნში ბორის ბეკერი ალალად აღიარებს ყოფილი ცოლის ბარბარას ღალატს

ბეკერმა ყველაფერი თავის ცოლს, ბარბარას უამბო. ბარბარამ თავიდან აპატია ქმარს, მაგრამ შემდეგ მაინც განშორება არჩია. განქორწინება ბორისს ათი მილიონი გირვანქა დაუჯდა, ხოლო ორი მილიონიც მას ერმაკოვასთან მოსარიგებლად დაეხარჯა.

„პატარა ანას ყოველ ორ თვეში ერთხელ ვნახულობ და ძალიან მინდა, მისი სიყვარული ვისწავლო" — წერს ბორისი...

სხვა ნაწყვეტებიდან ირკვევა, რომ მძიმე საჩოგბურთო ყოფის გასაძლებად მას ხშირად უხდებოდა საძილე აბებისა თუ ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზების მიღება.

„უძილობის წინააღმდეგ „პლანუმს" ვსვამდი — იგონებს მსოფლიოს ოდინდელი პირველოსანი — ტრავმებით გამოწვეული ტკივილების გაყუჩებას კი სხვა ძლიერ მოქმედი საშუალებებით ვცდილობდი. რაც შეეხება მარტოობას, ამას ქალებსა და ალკოჰოლზე უკვე ვერაფერი შველოდა."

ბეკერი წერს, რომ მალე მას უკვე აღარ შეეძლო აბების მიუღებლად დაძინება, ხოლო დიდი დოზების მიღების გამო სულ უფრო ხშირად ექცეოდა დეპრესიის ტყვეობაში.

„ჰო, ეს წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ბოლო-ბოლო ისეთ დღეში ჩავვარდი, რომ უზორბესი დოზაც კი მხოლოდ სამი-ოთხი საათით მაძინებდა."

„არანაკლებ პრობლემებს მიქმნიდა ალკოჰოლი, განსაკუთრებით ის, რომ ნაბახუსევს თავს საშინლად ვგრძნობდი ხოლმე. ერთხელ მახსოვს, ოქტომბრის ცივ ღამეს ჩვენი მიუნხენური სახლის აივანზე ტიტველი დავდექი და — ჩემს ცოლს — მესროლე-მეთქი, მთელი უბნის გასაგონად ვუყვიროდი... აბა, რა იქნებოდა — წინა საღამოს ხომ ტრადიციულ საოქტომბრო ლუდაობაზე ლუდით და არყით გავილეში."

**ლევან ძელაურაძე**

რაგბი



# არ შეგვითავაზებია! სორელი საქართველოს ავსტრალიაში ტოვებს

**ქართული** სარაგბო წრეები კვლავ ელიან საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტას. კერძოდ, დარჩება თუ არა კლოდ სორელი საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელად. საქართველოს რაგბის კავშირი ჯერჯერობით ასეთ პასუხს იძლევა — დეკემბრამდე ვერაფერი გაირკვევაო. თავად სორელი და კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე ისევ ავსტრალიაში არიან და მსოფლიოს თასის დასრულებამდე იქ დარჩებიან.

სორელის ბედიც სავარაუდოდ მსოფლიოს თასის შემდეგ გადაწყდება, როცა ჩვენი რაგბის კავშირის უფროსობა ცივ გონებაზე გააანალიზებს ნაკრების თამაშს და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას — გააგრძელოს თუ არა თანამშრომლობა სორელთან, როგორც ნაკრების მწვრთნელთან. გამორიცხული არც ისაა, ფრანგი სპეციალისტი გუნდში დარჩეს, როგორც კონსულტანტი ან მენეჯერი.

ავსტრალიიდან დაბრუნებული რაგბის კავშირის პრესცენტრის უფროსი გია კუბლაშვილი კი უარყოფს ფრანგული „ეკიპის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა სორელს ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზა.

„მსგავსი არაფერი მომხდარა. სორელისთვის ახალი კონტრაქტი არ შეგვითავაზებია. ყველაფერი დეკემბრისთვის გადაწყდება, როცა ბიძინა გეგიძე ავსტრალიიდან დაბრუნდება და გადაწყვეტილებას სრულფასოვანი ანალიზის და ყველაფრის კარგად აწონ-დაწონვის შემდეგ მიიღებს" — გვითხრა გუშინ კუბლაშვილმა.

კუბლაშვილისავე თქმით, „ეკიპმა" ეს ინფორმაცია ალბათ ურუგვაისთან ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ნათქვამზე დაყრდნობით გაავრცელა. კერძოდ, „ეკიპის" ჟურნალისტის კითხვაზე, დარჩება თუ არა სორელი ნაკრების მწვრთნელად, სორელმა უპასუხა, რომ წინ ოთხწლიანი პერიოდია და ყველაფერს კარგი ანალიზი და გათვლა სჭირდება. „მე ჯერ არ ვიცი, დავრჩები თუ არა მწვრთნელად, ამას დიდი ფიქრი უნდა" — ასეთი იყო სორელის პასუხი.

საბოლოო პასუხს კი ყველანი ველით.

**ბაჩო სვანიძე**

ჭადრაკი

# პირუსმა დაგვაჩიავა?

## პრეზიდენტი ძაგნიძეს ჰპირდება

*ნანა ძაგნიძე წლეულს ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი – ჯერ ზაფხულში ნახჭევანში ოცწლამდელთა ჩემპიონატში იმარჯვა, ახლა კი ბერძნულ ჰალკიდიკში თვრამეტწლამდელთა პირველობაზეც იპირველა*

— ოცწლამდელებში გამარჯვების შემდეგ ტურნირებში უფრო თავისუფლად ვთამაშობ და ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც მოსაგებად წავედი. ჰალკიდიკამდე ზედიზედ ოთხი ტურნირი გადაება ერთმანეთს და იქ ცოტა გადაღლილი ჩავედი, მაგრამ რადგანაც რეიტინგით პირველი ვიყავი, ძლიერ მეტოქეებს თავიდანვე არ შევხვდი და ამით მომდევნო თამაშებისთვის ძალები დამეზოგა. ჩემს მთავარ კონკურენტებს — ჩინელ ძიან ჰუანს და უკრაინელ ნატალია ზდებსკაიას მერვე-მეცხრე ტურებში დავუპირისპირდი, თუმც ამ დროისთვის უკვე ლიდერი ვიყავი, ორივე პარტია ყაიმით დავასრულე და ჩემპიონობაც იოლად მოვიპოვე.

— პირველი ადგილი კირსან ილუმჟინოვმაც მოგილოცა...

— იმ დღეებში ჰალკიდიკში ფიდეს კონგრესიც მიმდინარეობდა და საბერძნეთში ბევრი ცნობილი საჭადრაკო სახე, ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი და სხვანი ჩამოვიდნენ.

ჩემპიონთა დაჯილდოვებაზე ილუმჟინოვიც იყო, გამარჯვება პირადად მომილოცა და დამპირდა, გაისად უფროსებში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაგიშვებო. ამ შეჯიბრს კი მაის-ივნისში თბილისი უმასპინძლებს და თითქმის ყველა მონაწილე უკვე გარკვეულია, თუმც რაკი ფიდეს პრეზიდენტი დამპირდა, იმედია, მეც მათ სიაში მოვხვდები.

— სხვა მედალოსნებზე რას იტყოდი?

— ძალიან კარგი თაობა მოდის. 12 წლის სოფიკო გურამიშვილი ახლოს იყო ჩემპიონობასთან. მან პირველი ექვსი პარტია მოიგო, მაგრამ შემდეგ მოეშვა და მეორეობას დასჯერდა.

ბრინჯაოს პრიზიორმა, 9 წლის ნაზი პაიკიძემ წლეულს თავის ასაკში უკვე ევროპის ჩემპიონობაც მოასწრო. თუმც იგი ჯერ პატარაა და კიდევ ბევრი აქვს დასახვეწი.

დასანანი იყო სალომე მელიას მესამე ადგილი თექვსმეტწლამდელებში. იგი ჩემპიონობის რეალური კანდიდატი იყო, მაგრამ ბოლო სამ ტურში დასანანი პარტიები ჩააგდო და ოქროს მედლამდე ნახევარი ქულა დააკლდა.

**— ჩვენმა ვაჟებმა კი საერთოდ ჩააგდეს პირველობა და ვერც ერთი მედალი ვერ მოიპოვეს.**

— ჩემპიონატის მიმდინარეობისას რაღაც ვირუსი გავრცელდა, რომლის ასავალ-დასავალიც ჯერ კიდევ ვერ გაიგეს. ვირუსმა საშინელი ავადმყოფობა გამოიწვია და ზოგს სიცხემ 40 გრადუსამდეც აუწია. ჩვენი ბევრი მონაწილე დაავადდა და ალბათ წარუმატებლობის მიზეზიც ეს იყო.

**— მარტო ვირუსი არ იქნებოდა წაგების მიზეზი, ლევან ფანცულაია თვრამეტწლამდელებში ერთ-ერთ ფავორიტად იყო აღიარებული და საბოლოოდ 35-ე ადგილს დასჯერდა. თანაც ეს ვირუსი მარტო ჩვენებზე ხომ არ მოქმედებდა?**

— ფანცულაია ალბათ გადაღლილი იყო, მანამდე ხომ ბევრ სხვადასხვა ტურნირში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ წარმატებულადაც იასპარეზა. საერთოდ კი კარგი იქნება, თუ ორგანიზატორები ტურნირების წესიერ კალენდარს შეადგენენ და თვეში მაქსიმუმ ორ შეჯიბრს ჩასვამენ.

**— როგორ იყო ჩემპიონატი ორგანიზებული?**

— საშინლად, განსაკუთრებით დახურვა. დაჯილდოების დროს პირველ-მეექვსე ადგილებზე გასულები ერთნაირი მედლებით დაგვაჯილდოვეს და რაღაც სასაცილო პრიზებით გაგვისტუმრეს.

**— ამ შეჯიბრებამდე კიდევ ორ დიდ თამაშებში, ევროპის საკლუბო და სანაკრებო პირველობაშიც მიიღე მონაწილეობა. კლუბებში კი სულაც თქვენმა „ნტნ თბილისმა" ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

— კლუბებში თავისუფლად შეგვეძლო ოქრო აგვეღო. ჩემპიონი, სერბი ჩერნოგორიული „პოდგორიცა" არ იყო ჩვენზე ძლიერი და ურთიერთშეხვედრაში ვძლიეთ კიდეც, მაგრამ სხვა თამაშებში რამდენიმე ძვირფასი ქულა დავკარგეთ და ვერცხლს დავჯერდით.

რაც შეეხება სანაკრებო ჩემპიონატს, აქ არ ვიცი, რა მოგვივიდა. ასპარეზობის დაწყებამდე ჩვენ და რუსეთის ნაკრები ფავორიტად ვიყავით შერაცხულნი, თუმც შემდეგ ისე ცუდად ვითამაშეთ, რომ მედლები კი არა, ათეულში მოხვედრაც სანატრელი გაგვიხდა.

**ლაშა გეგეჭკორი**



ნანა ძაგნიძე წლეულს მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

# ჩეხები და სლოვაკები ამერიკელმა გააერთიანა

4 ნოემბერი

**რეინჯერსი 3:0 დალასი**

*0:0 2:0 1:0*

1:0 მესიე (22), 2:0 ბარნაბი (36), 3:0 მესიე (60)

დიადმა გორდი ჰოუმ 1979 წელს თავისი ბრწყინვალე ნჰლ-ური კარიერა 1850 ქულით რომ დაასრულა, მაშინ ეს იმდენად დიდ ციფრად ეჩვენებოდათ, რომ „მისტერ ჰოკეის" მიღწევას სხვებისთვის გადაულახავად მიიჩნევდნენ.

ბედის ირონიით სწორედ იმ სეზონში ერთ გუნდში ორმა მომავალმა ლეგენდამ დაიწყო ასპარეზობა. დროთა განმავლობაში მათ შეუძლებელი შეძლეს. ერთი უეინ გრეცკი გახლდათ, რომელმაც 2857 ქულით დაასრულა კარიერა, რაც დღევანდელი გადასახედიდან ფანტასტიკური და დაუძლეველი ჩანს. მეორე მარკ მესიეა, „რკინის მაიკი", რომელიც 42 წლის ასაკშიც მწყობრშია და 4 ნოემბერს ორი გოლის წყალობით ჯერ გაუტოლდა ჰოუს, შემდეგ კი გაუსწრო მას და ამჟამად 1851 ქულით მე-2 ადგილზე დამკვიდრდა. მეორე შაიბა მარკმა თამაშის დასრულებამდე ხუთი წამით ადრე ცარიელ კარში შეაგდო.



მარკ მესიემ გორდი ჰოუს გადაასწრო

**ტამპა 1:5 ვაშინგტონი**

*0:2 0:3 1:0*

0:1 ზუბრუსი (11), 0:2 ლანგი (19), 0:3 იაგრი (27), 0:4 ჰელპერნი (29), 0:5 ზუბრუსი (39), 1:5 სან ლუი (52)

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ „ტამპას" ტრიუმფალური სვლა აუტსაიდერმა „ვაშინგტონმა" შეაფერხა. დედაქალაქელებმა როგორც იქნა, გაიხსენეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთში ოდესღაც სწორედ თავად ბატონობდნენ. ტამპელებმა კი მხოლოდ მე-9 თამაშში იწვნიეს პირველი მარცხი. მართალია, მთლიანობაში ისინი მეტოქეზე უფრო აქტიურები იყვნენ — დარტყმებით 41-23 აჯობეს, მაგრამ ამ დღეს მანამდე ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინმა ვერ იხსნა „ელვები". თავის მხრივ „ვაშინგტონის" თავკაცმა ბრიუს კესიდიმ სამი ლიდერი — იარომირ იაგრი, რობერტ ლანგი და პეტერ ბონდრა — ერთ ტრიოში გააერთიანა და ჩეხურ-სლოვაკურმა რგოლმა გაუმართლა კიდეც.

**ტორონტო 4:2 პიტსბურგი**

*2:0 0:1 2:1*

1:0 ბერგი (2), 2:0 ტაკერი (9), 2:1 მელოუნი (31), 3:1 რაიხელი (43), 4:1 მაკეიბი (53), 4:2 ფატა (59)

**მონრეალი 2:4 ედმონტონი**

*0:2 1:2 1:0*

0:1 ტორესი (8), 0:2 პიზანი (17), 0:3 კროსი (27), 0:4 სარნო (28), 1:4 სურეი (28), 2:4 სურეი (47)

**კოლორადო 4:4 მინესოტა**

*0:2 2:2 2:0 0:0*

0:1 ლააკსონენი (18), 0:2 ბრიუნეტი (20), 1:2 კონოვალჩუკი (24), 2:2 მაკკორმიკი (25), 2:3 ბრანდნერი (32), 2:4 ლააქსონენი (39), 3:4 მორისი (48), 4:4 კონოვალჩუკი (52)

**კალგარი 0:3 დეტროიტი**

*0:0 0:2 0:1*

0:1 შენაჰანი (21), 0:2 მაკარტი (27), 0:3 შენაჰანი (53)

**სენტ ლუისი 2:1 ანაჰაიმი**

*0:0 0:1 1:0 1:0*

0:1 ოზოლინში (22), 1:1 უეიტი (55), 2:1 ტკაჩუკი (65)



REUTERS ლუტრაკიდან

# ლუტრაკული ხედი

*ეს ვეება, 954-კაიუტიანი და 10-გემბანიანი ხომალდი ერთი იმ თერთმეტთაგანია, რომელთაც ათენის საგაისო ოლიმპიადაზე მოცურავე ოტელობა უნდა გასწიონ. ფოტო დასავლურბერძნულ ქალაქ ლუტრაკშია გადაღებული.*

# არა ხოლო რაგბითა მრთითა

*მელბურნი ამ დღეებში მხოლოდ დიდი რაგბით არ ცხოვრობს. იქ ტრადიციულ საცხენოსნო შეჯიბრებასაც დიდ ყურადღებას უთმობენ და ეს სიაფანდწვერიანი ირლანდიელი ბერიკაცი, ორ მაგარ ნაშას რომ ეზასვინება, სწორედ რბოლაზე დასწრებისას ჩაათბიექტივეს.*




REUTERS მელბურნიდან



REUTERS პალმასიდან



# ინდჯომარდობა

*ჩრდილობრაზილიურ ქალაქ პალმასში აბორიგენ ინდიელ ხალხთა მეექვსე თამაშები გახსნებულა. 45 ტომის 1100 წარმომადგენელი ერთმანეთს რავინდარა ჯომარდობაში ეჯიბრება. ამ ნამბიკვაგარულ მეომარს მამაპაპის მიერ სვიანად ნახმარი მშვილდისარი შეუმართავს, კალიბა ხალხის ეს ბუთხუზა წარმომადგენელი შუბის ყველაზე შორს გადაგდებას ცდილობს, უცხოდ მოხატული ეს მეკრიბელი ლამაზმანები კი იქვე მოჩალიჩე თავიანთ კაცებს ქომაგობენ. ამბავს ესწრება ბრაზილიის სპორტის მინისტრი ანიელო კიერუმა, რომელსაც ბანაკში შესვლისას ტომ ტურუნას მეომრები ეგებებიან. არის ერთი ლაღობა და მხიარულება, რომელსაც — კარგად თუ დაგვკვირდებით — ჰაი-ჰაი რომ ოდნავ სევდიანი ლიბრიც გადაჰკრავს.*



REUTERS პალმასიდან



REUTERS პალმასიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხოძერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge